№ 2862
პარასკევი,
15 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2862
პარასკევი,
15 ივლისი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნუშადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონ № 37.

ყოველ-დღიური
გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნითი ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს **3 კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

კვირას, 17 ივლისს, **სოფ. მაღლაკში,** მაცხოვრის ეკკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

კნ. მარიამ ქარამანის ასულის ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად. (კლნ. 3—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მ ო ს დ ი ს ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვ უ რ ჩ ე ვ თ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შ ე უ ვ ა ჭ რ ე ბ ლ ა დ. (0—57)

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი იაკობ გოგებაშვილისა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნება სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ფასი ერთი აბაზი. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაგზავნის გურიაში იქაური საჯარო ბიბლიოთეკების შესავსებლად საუკეთესო წიგნებითა (6—5)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ე ქ ი მ ი
გ. ა. გ ე დ ე ვ ა ნ ი ს ი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—5)

კბილის ექიმი
ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს , თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო.
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამბ. სტამბაში. (25—11)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
12 ივლისი

ვლადივასტოკი. აქ ცხოვრება უფრო იაფად ჯდება, ვინემ ხარბინში, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ შორიდან მოაქვთ სანოვაგე. ხაბაროვსკიდან მომავალი ფოსტა გააჩერა გზაში ნიაღვარმა. გზა გაასწორეს.

ნიუ-იორკი. „სიუნ“-ი ამბობს, მაშინაცკი, რომ რუსეთი, ახლანდელ მდგომარეობაში, შეუერთდეს საფრანგეთს, გერმანია უძლეველი იქნება და შესძლებს კიდეც შემოიერთოს ჰოლანდია და ბელგია, იმას გარდა, რომ გაიფართოებს საზღვრებს საფრანგეთის ხარჯზეო.

პარიზი, 13 ივლისი. ვიტტე შერბურგში წავიდა დილის 9 საათზე. ვოკზალზე იყვნენ რუვიე, ნელიდოვი და რამდენიმე მეგობარი ვიტტესი. ოჯახობა მისი პარიზში დარჩა.

გოძიადანი. იუწყებიან, რომ 11 ივლისს, დღის 1 ს. იაპონელების კონტრნაღმოსნები მივიდნენ დეკასტრის პოსტთან და გაემართნენ კანდელისაკენ. იაპონელებმა გადმოსხეს დესანტი ერთ ბატალიონამდე და დაიჭირეს კანდელი, რომელზედაც ბაირაღი ამართესო.

ბელგრადი. ამოირჩიეს 78 უკიდურესი რადიკალი, 50 ზომიერი, 14 ლიბერალი, 4 ნაპრედნიაკი, 2 სოციალისტი და ერთიც გლეხის პარტიის წევრი.

ლონდონი. ბრეილსფორდი და მაკკუდორი, რომელნიც რუსეთში წასასვლელ ყალბ პასპორტების შედგენაში იყვნენ ბრალდებულნი, დამნაშავეებად იცნეს და გადაწყვეტილებას 18 ივლისს გამოაცხადებენ.

სტამბოლი. ყოველ დღე უარესდება მუსულმანების მდგომარეობა კრიტოსზე, განსაკუთრებით სელინოსა და რეტიმოში. მუდმივი მკვლელობა ხდება. შეამბოხენი და მთავრობის პარტიები ერთი-მეორეს სდებენ ბრალს. მუსულმანებს განზრახვა აქვთ, სულთანს სთხოვონ დაცვა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
13 ივლისი.

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. 12 ივლისს მოვიდა კომურა თავის ამალით ჯერსეისიტიში. ნიუ-იორკში კომურას ელოდებოდა იაპონიის ელჩი ტაკახირა. კომურა დუმილს რჩეობს, მაგრამ საელჩოს მრჩეველმა სატომ მიიღო პრესსის წარმომადგენელნი და განუცხადა, რომ იაპონიას, მართალია, ზავი სურს, მაგრამ არა რაც უნდა დაემართოსო. იაპონიას ჯერ კიდევ ბევრი შეიძლება აქვს და ხალხსაც უფრო მეტი ფული შეაქვს ბანკებში შესანახად. კონფერენცია 28 ივლისს გაიხსნება. სატოს სიტყვით ზავის პირობები შეიმუშავა იაპონიის იმპერატორმა მინისტრების დახმარებით. ის აზრი სჭარბობს, რომ იაპონიამ უნდა აინაზღაუროს სამხედრო ხარჯი. იაპონიის სურვილია, ისეთი უპირატესობა ჰქონდეს მას მანჯურიაში, როგორიც რუსეთს. სატოს აზრით, მანჯურია და კორეია უფრო მოხერხებული ადგილებია იაპონელების დასასახლებლად, ვინემ ჰავაის კუნძულები ან ამერიკა.

პეტერბურგი. ხარკევიჩის დეპეშა მთავარშტაბს, 11 ივლისის თარიღით: „ჯარებში ცვლილება არ მომხდარა დღის განმავლობაში“.

პარიზი, 12 ივლისი. „ტან“-ი ამბობს, ვიტტეს, პარიზში ყოფნის დროს, არავითარი ლაპარაკი არ ჰქონია არც პოლიტიკურის და არც ფინანსიურის საკითხების შესახებ. ის ემუსაიფა ნელიდოვს, რადოლინს, ამერიკის ელჩს გენ. პორტერს და ბარონ როტშილდს. ხვალ, დიპლომატიურ მიღების დროს, რუვიე მიიღებს რადოლინს. გერმანიის ოფიციალურ წრეების აზრით, საფრანგეთის უნდობლობას ორის მონარქის შეხვედრის შესახებ არ აქვს საფუძველი, ვინაიდან ზემოხსენებული შეხვედრა არ ავნებს საფრანგეთ-რუსეთის კავშირს და გერმანიასა და საფრანგეთ შორის არსებულ კეთილ განწყობილებასო.

ქრისტიანია. ნორვეგიის პრესსა ძლიერ ფრთხილად ეპყრობა შვეციის მიერ წამოყენებულ პირობებს. ამბობენ, რომ საბოლოო სიტყვა მხოლოდ მაშინ წარმოითქმება, როცა უფრო დაწვრილებითს პირობებს წარმოადგენენ და როცა სამინისტრო განახლდებაო.

დონის როსტოვი. როსტოვის ოლქის, ტრადოვის ვოლოსტის გლეხების ყრილობამ ერთხმად გადასწყვიტა, გაგზავნოს ხელმწიფეს დეპეშით უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა, რაც შეიძლება ჩქარა შემოიღონ ერობა.—სინიდისის თავისუფლების შესახებ გამოცემულ ბრძანების გატარებას ცხოვრებაში ბევრი უთანხმოება მოსდევს როსტოვის ოლქში. სამინისტროს განკარგულების ფართოდ გავრცელება ბოლოს მოუღებს ამ უთანხმოებას და გაუგებრობას. გემებსა და სანაპიროების მუშებს დაებადათ აზრი, ააშენონ სამლოცველო, რისთვისაც შეკრიბეს კიდეც ფული და გადასცეს ხაზინას შესანახად.

ნოვი ორლეანი. ქალაქის გამგეობა იუწყება, 154 კაცი გახდა ყვითელის ციებით ავად, რომელთაგან 34 მოკვდა კიდეცო.

ყაზანი. საღამოს ცხრა საათზე ნიაღვარი მოვიდა. ზოგიერთი ქუჩები და ტროტუარები წყლით გაივსო. მიმოსვლა გაძნელდა. წყლით გაივსო სარდაფები. წყლის ამოსასხმელად ცეცხლის მქრობელთა რაზმი გამოიწვიეს.

ვარშავა. „ვარშ. დნევნიკ“-ში დაბეჭდილია კათოლიკების არქიეპისკოპოზის პოპელის მიწოდება პოლონელ მშობლებთადმი. ეთანხმება რა იმ აზრს, რომ სკოლა ვერ აკმაყოფილებს ახალთაობის სულიერსა და ნაციონალურს მოთხოვნილებას, ვერ იზიდავდა თავისკენ ხარბ გულებს და არ შეეძლო მოსწავლების ნდობა დაემსახურებია, არქიეპისკოპოზს იმედი აქვს, რომ დადგება წუთი, როცა სკოლა ბუნებრივ უფლებებს შეიძენს. ამასთან იგი აღნიშნავს უაზრობას სკოლის მიტოვებისას, ამისაგან წარმოშობილ ვნებას და აფიცებს მშობლებს, ნუ დაბრმავდებიან ფრაზების რახა-რუხით, ნუ დაუგდებენ ყურს მუქარას და სასწავლო წლის დაწყებისას შეუდგნენ შეუწყვეტელ სწავლას.—„ვარშ. კურ.“-ის სიტყვით, სახლის პატრონთა და მდგმურების კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეუძლებელია სახლების ქირის დაკლება, რადგანაც ეს დიდს ზარალს მოუტანს პატრონებსო. ამასთანავე, მუშა ხალხის აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობის ცოტათი მაინც შესამსუბუქებლად, კომისიის აზრით, საჭიროა დაარსდეს [illegible] პროცენტიულ გადასახადით მოძრავ ქონებაზე საგანგებო თანხა უღარიბეს მცხოვრებთათვის უპროცენტო სესხის მისაცემად.—დღეს ჩამოინგრა კედელი ჩერნიაკოვსკის ქუჩაზე. ჩამონგრეულმა თაღმა გასჭყლიტა 8 მუშა, ერთი მძიმედ დაიჭრა; დანარჩენები მსუბუქად.

კავკავი. ბესლანიდან სად. კავკაზსკაიამდე მატარებლები არ დადიან. მიმოსვლა სწარმოებს კავკავიდან ბაქომდე.

ოფიციალური ცნობა

გენერალ-გუბერნატორის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია ტფილისში წესიერების დამცველ ჯარის მიმართ.

I სამსახურის წეს-რიგი.

8) სამსახურის ასრულების დროს ყველა სალდათებს გარეშე ხალხთან ლაპარაკი ეკრძალებათ, განსაკუთრებით შეპყრობილ წესიერების დამრღვევთან, როდესაც მას მიაცილებენ. ეკრძალებათ აგრეთვე გარეშე პირისაგან რამე სანოვაგე, ან ფული მიიღონ.

10) სამსახურის აღსრულების დროს სალდათი არავის არ აძლევს სამხედრო სალამს (ჩესტს), მაგრამ თუ ისეთი პირი ჩამოივლის, რომელსაც სხვა დროს ვალდებულია სალამი მისცეს, უფროსის უკომანდოთ სალდათი მშვიდად უნდა გამოეჭიმოს.

II ვალდებულებანი, რომელნიც წესიერების დასაცველად სალდათებმა უნდა აასრულონ

1) ის სალდათები, რომელთაც ქალაქში წესიერების დაცვა აქვთ დავალებული, ვალდებულნი არიან დაიფარონ: სახელმწიფო მოხელენი, ქალაქის მკვიდრნი და აგრეთვე ხაზინისა თუ კერძო კაცის ქონება.

2) ამისათვის ისინი მოვალენი არიან შეიპყრან და პოლიციას გადასცენ ყველა, ვინც კი პიროვნებისა თუ იმის ქონების ვნებას მოიწადინებს, სახელდობრ: ყველა, ვინც იარაღით ვისმეს დაეცემა, დაემუქრება, თუნდა მხოლოდ სიტყვით, ვინც ცეცხლის წაკიდებას დააპირებს, მაღაზიებისა და სახლების შუშებს ჩაამტვრევს, რომელსამე სახლში ძალით შესვლას მოიწადინებს, თოფისა თუ რევოლვერის სროლას დაიწყებს.

3) წესიერების ზემოდ აღნიშნულ დამრღვევთა გარდა უნდა შეიპყრან და პოლიციას გადასცენ ყველა, ვინც ქუჩებში შეკრებისა და უწესოების მონაწილე იქნება, ვისაც გუბერნატორის ნება-დაურთველად სასროლი იარაღი ექნება, ან ხმალ-ხანჯალი, პატრონები, დაფარული იარაღი, როგორც შუბიანი ჯოხები, საცერულები, მახვილი ჯოხებია და სხ... ვინც ვაჭრებს აიძულებს დუქნების დაკეტვას, ძალას დაატანს ვისმე მუშაობის შესაჩერებლად, მატარებლებისა და ეტლების მოძრაობის შემჩერებელნი, ვინც პოლიციის, სამხედრო პირთა კანონიერს მოთხოვნილებას არ შეასრულებს, ყველა, ვისაც-კი რამენაირად ან რითიმე საეჭვოდ მიიჩნევენ.

4) წესიერების დამრღვევნი თუ პოლიციასა ან სალდათებს გაუძალიანდებიან, ძალით უნდა დაიმორჩილონ. თუ უწესოების მომხდენნი იარაღს იხმარებენ, ჯარს ნება აქვს სროლა გაფრთხილების მიუცემლად დაიწყოს.

5) ჯარს იარაღის ხმარების ნება ეძლევა, თუ წესიერების დამრღვევი პირი გაქცევით თავის შველას შეეცდება, და მისი მდევარი პოლიციელი ან სალდათი ვერ წამოეწევა.

6) გარეშე პირნი, რომელნიც სამსახურის აღმასრულებელ სალდათებს ლაპარაკს დაუწყებენ, სალდათის უფროსმა უნდა გააფრთხილოს და თუ არ მოშორდნენ, შეიპყრას და პოლიციას გადასცეს.

7) შეპყრობილთა ან მათის სახლების გაჩხრეკა პოლიციის მოხელეთ ევალებათ; სალდათები ამ შემთხვევაში მხოლოდ პოლიციელთა დამცველნი არიან და ჩხრეკის დროს, ძალითა და იარაღით უნდა დაიმორჩილონ იგინი.

12) **შენიშვნა.** სამხედრო პირთა უკანონო ქცევის გამო დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ ხოლმე სამხედრო ნაწილების უფროსებს.

13) უკეთუ ფანჯრებსა ან აივნებიდან სროლა დაიწყეს, სალდათებს ნება აქვთ გაუფრთხილებლად სროლა აუტეხონ იმ სახლებს და უეჭველად შეიპყრან ყველა იმ სახლებში მყოფნი.

14) ქუჩებში ხალხის შეჯგუფების დროს, უნდა მოსთხოვონ, რომ დაიშალნენ. უკეთუ ამ მოთხოვნილებას არ აასრულებენ, უფროსმა უნდა გააფრთხილოს, რომ თუ სამჯერ გაფრთხილების შემდეგაც (ქუდის დაქნევით, დასტვენით, თუ დაძახებით) არ დაიშლებიან, იარაღს მიმართავს. ამ გამოცხადების მერეც თუ არ დაიშალა ხალხი, ჯარს სროლის ნება ეძლევა.

15) იმ შემთხვევაში, თუ თავმოყრილი ხალხი სალდათებს იარაღით, ან ქვის სროლით დაემუქრება, ან ვისზედმე ძალმომრეობა იხმარა, ან ვისიმე ქონებას შეეხო, სალდათებს გაფრთხილების გამოუცხადებლად იარაღის ხმარების ნება ეძლევათ.

17) მთავრობისა, საზოგადო თუ კერძო სახლებთან დაყენებული რაზმები მოვალენი არიან, თვალყური ადევნონ, რომ ცეცხლის წაკიდება ან სხ. რამ არავინ გაბედოს. უკეთუ ამ შენობებს აშკარად თავს დაესხმიან, ყარაულებმა იარაღით უნდა მოიგერიონ ისინი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუს და იაპონელ გენერლების ჯამაგირი. „კენიგ. ჰარტუნგ. ცაიტუნგ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი რუს და იაპონელ გენერლების ჯამაგირს ადარებს და მეტად უკვირს, რომ რუსის გენერლებს საოცრად დიდი ჯამაგირები ჰქონიათ შედარებით ნიჭიერ იაპონელ გენერლებთან.

ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ მარშალ ოიამას 8,015 მანეთი ეძლევა წელიწადში ჯამაგირად, პორტ-არტურის დამპყრობს გენ. ნოგის—5,400 მ. გენ. კუროკის—5,150 მ., გენ. ოკუს—5,150 მ. გენ. ნოძუს—4,900 მ., გენ. კავამურას—4,065 და გენ. ხასეგავას—4,025 მ. ასე რომ შვიდსავე უმთავრეს სარდალს წელიწადში—36,665 მან. ეძლევათ. ადმ. ტოგოს წინად წელიწადში—5,060 მან. ეძლეოდა, ცუსიმას ბრძოლის შემდეგ-კი მოემატა და იმდენი ეძლევა, რამდენიც მარშალ ოიამას აქვს, ესე იგი 8,015 მან. ასე რომ იაპონიის ჯარისა და ფლოტის უფროსებს საერთოდ ომის დროს სულ 44,680 მ. ეძლევათ წელიწადში ჯამაგირად, და ამის მეტი სხვა ფული არა ეძლევათ რა.

რუსის ჯარის მთავარ-სარდალს გენ. ლინევიჩს წელიწადში ეძლევა—150 ათასი მან. არმიების უფროსებს გენ. კუროპატკინსა, გენ. კაულბარსსა და გენ. ბატიანოვს—110 ათასი მან. თითოს, ასე რომ რუსის გენერლები წელიწადში თითქმის ნახევარ მილიონ მანეთს იღებენ ჯამაგირად. ამას გარდა შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკად ნამყოფი ადმირალი ალექსეევი მისის გასვლამდე წელიწადში 120 ათას მანეთს იღებდა, ადმ. როჟესტვენსკისაც 108 ათასი მანეთი ეძლევა და სხვა.

„ამ ციფრებიდან ცხადად სჩანს,—უმატებს გაზეთი—თუ რამდენად იაფად უჯდება იაპონიას ომი შედარებით რუსეთთანაო.“ („ს.“).

იაპონელთა პატიოსნება. 1903 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის წინ, სპარსეთის პირველ მინისტრად ნამყოფი სადრაზამი მირალი ასკერ-ხანი იაპონიაში გაემგზავრა. სპარსეთის მინისტრი და იმისი ამალა ძლიერ გაუკვირვებია იაპონელთა ზნე-ჩვეულებას, იმათ უანგარობასა და პატიოსნებას. ერთ სპარსელ მოხელეს, სადრაზამის ამალაში ნამყოფს, შემდეგი საყურადღებო ცნობები უამბნია: სადრაზამი ორ თვემდე დარჩა ტოკიოში და „ამომავალ მზის ქვეყნის“ წარჩინებულ მოხელეთა წრეში ტრიალებდა. იაპონელები მუდამ დიდებულ ნადიმებს უმართავდნენ და ყველანი გულწრფელად უხვდებოდნენ სადრაზამს. შინ დაბრუნების წინად სპარსეთის ხანი იაპონიის იმპერატორს წარუდგინეს. ხანი იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს კომურას გამოემშვიდობა და თავის სამშობლო ქვეყნის ჩვეულებისამებრ ძვირფასი სპარსული ხალი გაუგზავნა ფეშქაშად. მაგრამ სპარსელ დიდებულის გასაკვირველად, ერთის საათის შემდეგ ხალი უკან მოუვიდა და თან ზრდილობიანი წერილი მიერთვა. კომურა სწერდა: თქვენ საჩუქარს ვერ მივიღებ, რადგან მაგის სამაგიეროს გადახდა არ შემიძლიან იმ მიზეზით, რომ ჩემი საკუთარი შეძლება არა მაქვს და ჯამაგირი მხოლოდ ჩემის სახლობის სარჩენად მყოფნისო.

ამას გარდა, სადრაზამს შემდეგი ამბავი გადახდა ტოკიოს ქუჩაზე. ხანმა დაინახა, რომ ერთი მოხუცებული დედაკაცი, ასე 60 წლისა, ქუჩაში კალათით ვაშლებსა ჰყიდდა. ხანი მივიდა, კალათიდან ერთი ვაშლი ამოიღო და მოხუცებულს დედაკაცს იაპონური ოქროს ფული მისცა. დედაბერმა მოენის პირით უთხრა, ხურდა არა მაქვს და გთხოვთ, წვრილი ფული მომცეთო. ალი-ასკერ ხანმა უპასუხა, ხურდა არ მინდა, ეგ ოქრო მიჩუქებიაო. დედაბერს მეტად ეწყინა ხანის სიტყვა (ეს სახეზე შეეტყო) და ზრდილობიანად მიუგო: მე ვაჟიშვილი მყავს და რომ მინდოდეს, ყოველთვის გამიწევს დახმარებას, მაგრამ ჯერ თითონაც შემიძლიან ჩემი თავის რჩენა და ამიტომ არავის დახმარება არ მჭირიაო და აქვე უკან დაუბრუნა ოქრო გაკვირვებულ სპარსელ ხანს. („ზ.“).

იაპონიის მთავრობის მოხერხება. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის ხალხი მოუთმენლად ელოდა ცუსიმას ბრძოლის ამბის გამოცხადებას, მაგრამ მთავრობა პირველ ორ დღეს, 14 და 15 მაისს, თითქმის არას აცხადებდა. ხალხი ჯავრობდა, რად გვიმალავს მთავრობა ბრძოლის ამბავს, რატომ მიღების უმალ არ აცხადებს ცნობებსაო. ევროპაშიაც ბევრმა იფიქრა, ეს სიჩუმე იმის ნიშანია, რომ, ალბად, ბრძოლა ადმირალ ტოგოს გამარჯვებით არ დასრულდაო და ამიტომ იაპონიის სახელმწიფო ქაღალდების ფასი ევროპის ბირჟებზე, ცოტა არ იყოს, დაეცა. იაპონიის საფინანსო აგენტებმა ისარგებლეს ამით, ხსენებული ქაღალდები იაფად იყიდეს და მერე, როცა იაპონიის ფლოტის საარაკო გამარჯვების ამბავი მოვიდა, ქაღალდების ფასმა ხელად აიწია და იაპონელმა აგენტებმა ისევ ძვირად გაყიდეს. ხალხმა რომ ეს ამბავი გაიგო, თავის მთავრობის მოხერხება ძლიერ მოიწონა და დროებითი სიჩუმე აპატია. („ო. ნ.“).

ხმა დროებით შერიგებაზე. ინგლისურ გაზ. „გლობ“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუ-იორკიდან: პრეზიდენტი რუზველტი ხელახლად სცდილობს, რუსებს დროებითი შე-

რიგება ათხოვნინოს და იაპონელები დაითანხმოს ამ შერიგებაზე. აქ ესმისთ, რომ იაპონიის მხრივ დროებით შერიგებაზე დათანხმება დიდი დათმობა იქმნება, რადგან ამერიკელი სამხედრო ავტორიტეტები ჰფიქრობენ, რომ მარშალი ოიამა უსათუოდ გაჰსრესს გენ. ლინევიჩსაო. ამავე აზრისაა პრეზიდენტი რუზველტიც, მაგრამ პრეზიდენტი ჰფიქრობს, რომ იაპონია, როგორც ძლიერი სახელმწიფო, სულ-გრძელობას გამოიჩენსო. იაპონიის ელჩი ამერიკაში ტაკახირა უარს ამბობს, დროებით მორიგებაზე მოლაპარაკება ვერ გავმართავ, რადგან მაგის უფლება არა მაქვს მოცემულიო. („ნ.“).

ხმები შერიგებაზე. „მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ეჭვის თვალით უცქერის რწმუნებულთა მომავალ მოლაპარაკებას და არა სჯერა, რომ ამ მოლაპარაკებას შერიგება მოჰყვეს: რუსის მთავრობამ, ეტყობა, შესცვალა თავისი აზრი შერიგებაზე და წინანდებურად არა თუ იაპონიის მოთხოვნილება ვერ შეიტყო, ისიც კი არ იცის, თუ თითონ რა ჰსურს. („ნ.“).

სამხედრო მოქმედება. უკანასკნელ დეპეშებიდან სჩანს, რომ იაპონელები ამ ჟამად ჩრდილოეთ სახალინის დაჭერას ცდილობენ. სახალინის ჩრდილოეთ ნაწილში რუსებს ორი გამაგრებული ადგილი აქვთ: ალექსანდროვსკისა და დუეს პოსტები. ამიტომ იაპონიის ნალმიანი გემებიც უმთავრესად ამ ორ პოსტს დასტრიალებენ და ზარბაზნებს უშენენ. ხსენებულ ორის პოსტის აღებით სახალინის დაჭერაც მთლად დასრულდება და ეს მდიდარი კუნძული იაპონიის საკუთრება გახდება. როგორც გოძიადანიდან იუწყებიან, იაპონელებს, სახალინის პირდაპირ, ციმბირის ნიადაგზეც გადაუყვანიათ ჯარი და რუსეთის საკუთარ სამფლობელოში მეორე ადგილსაც მოუკიდნიათ ფეხი: 11 ივლისს იაპონელებს ერთი ბატალიონი ჯარი გადაუყვანიათ დეკასტრის პოსტთან, იქ საზღვაო კანდელი აუღიათ და ზედ ამომავალ მზის ბაირაღი დაუშლიათ. დეკასტრის პოსტი პრიმორიის ოლქში, დეკასტრის ყურეს ნაპირას, ალექსანდროვსკის პოსტის პირდაპირ მდებარეობს, ამურის შესართავიდან, ნიკოლაევსკიდან დაახლოვებით 80 ვერსტზე, თათრის სრუტის დასავლეთ მხარეს. ამავე სრუტის აღმოსავლეთ მხარეს, დეკასტრიდან დაახლოვებით 70 ვერსტზე, ალექსანდროვსკის პოსტი მდებარეობს კუნძულ სახალინზე. იაპონელებს ჩრდილოეთ კორეიაშიაც საკმაოდ წინ წაუწევიათ და ახალი ადგილები დაუჭერიათ. („რ. ს.“).

წვრილი საერობო ერთეული

უკანასკნელ სამის, ოთხის წლის განმავლობაში რუსეთის იმ 34 გუბერნიაში, სადაც საერობო დებულება ჰმოქმედობს, ძალიან გახშირდა ლაპარაკი საერობო ერთეულის შემცირების შესახებ. ეხლა საერობო თვით მმართველობის ერთეულს შეადგენს მაზრა და გუბერნია; რადგან მაზრა და განსაკუთრებით გუბერნია მეტად დიდის სივრცისანი არიან, ბევრს სხვადასხვაობას წარმოადგენენ ადგილობრივ ინტერესების მიხედვით, ამიტომ დაიბადა აზრი თვით-მმართველობის დაახლოვებისა მცხოვრებლებთან და წვრილის საერობო ერთეულის შექმნისა. ამ საგანმა საზოგადო და საერობო მოღვაწეები რუსეთში ორს მოწინააღმდეგე ბანაკად გაჰყო, ზოგი მომხრე იყო წვრილის საერობო თვით-მმართველობითის ერთეულისა, ზოგი მოწინააღმდეგე.

დღემდე ჩვენთვის, როგორც რუსეთის არა საერობო ნაწილში მოქცეულ განაპირა ქვეყნისთვის, ამ საკითხს პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონდა, მაგრამ ეხლა-კი, როდესაც რამდენისამე თვის შემდეგ ჩვენც აუცილებლად უნდა მოგვეცეს საერობო თვით-მმართველობა, მდგომარეობა შეიცვალა და ამ საგანს მარტოოდენ თეორიული ინტერესი აღარა აქვს.

ერობის დედა აზრი თვით-მმართველობაა, რომელიც აუცილებლად იგულისხმებს ხარჯების შეწერას და საერთო ინტერესების დასაკმაყოფილებლად თვით-მმართველობაში მოგროვილის ფულის დახარჯვას, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, **ერობა წარმოადგენს იურიდიულ ფორმას საზოგადოებრივის თვით-მოქმედებისას.** წაართვით ნიჭი ან მისწრაფება საზოგადოებრივის თვით-მოქმედებისა ხალხს და დაინახავთ, რომ ერობა ცალიერი და ფუჭი ფორმა-ღა იქნება, უშინაარსო და უსარგებლო. ნუ მისცემთ საზოგადოებრივ თვით-მოქმედებისათვის მომწიფებულს ხალხს ერობას და თქვენ თვალწინ გადიშლება სურათი შებოჭვილის ძლიერებისა. ამ გვარად ერობისთვის ორი ელემენტია საჭირო: ერთი მატერიალური—საზოგადოებრივი თვით-მოქმედება, და მეორე ფორმალური—უფლება ურთიერზე ხარჯის გაწერისა და ამ ფულის საერთო ინტერესებზე დახარჯვისა. ფორმალური ელემენტი უნდა წარმოადგენდეს იმ ჩარჩოს, რომელიც ერობის მატერიალურ ელემენტისთვის მზადდება ეს მთავარი აზრი არასოდეს არ უნდა გვავიწყდებოდეს, როდესაც ერობის მოწყობის შესახებ გვაქვს მსჯელობა.

საერობო თვით. მმართველობითი ერთეული ერთის მხრივ ისეთს რაიონს უნდა წარმოადგენდეს, რომლის ინტერესები და საჭიროებანიც ცოცხლად იგრძნობიან ამ რაიონის მცხოვრებლებისაგან, და მეორეს მხრივ იგი იმდენად ვრცელი უნდა იყოს, რომ საკმაო სარბიელს წარმოადგენდეს საზოგადო მოღვაწეობისთვის. განვმარტოთ ჩვენი აზრი მაგალითით: ავიღოთ სასკოლო საქმე. თუ საზოგადოებრივი თვითმოქმედება იმდენად განვითარებულია, რომ მცხოვრებლები სხვა და სხვა სოფლისა ჰგრძნობენ საშუალო, ვთქვათ, სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საჭიროებას, მაგრამ თვით-მმართველობითი ერთეული კი თითოეული სოფელია, ცხადია ეს საზოგადოებრივი საჭიროება დაუკმაყოფილებელი დარჩება, რადგან ერთის სოფლისთვის ყოვლად შეუძლებელი იქნება, იმდენი ხარჯი შეიწეროს, რამდენიც საშუალო სკოლის შესანახად იქნება საჭირო. პირიქით, თუ თვითმმართველობით ერთეულს მაზრა ან გუბერნია წარმოადგენს, მაშინ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადვილი იქნება. თუ თვითმმართველობითი ერთეული იმდენად დიდია, რომ საზოგადოებრივი თვით-მოქმედება ამ ფარგალში მეტად ხალვათად იგრძნობს თავს, შესაძლოა გაჩნდეს ქიშპობა ამ ერთეულის სხვა და სხვა ნაწილთა შორის, დაიბადოს ვიწრო ავტონომისტობა და ყველასგან საჭიროდ მიჩნეული სკოლა მაინც არ გახსნან. საგუბერნიო ერობამ, რომელსაც რამდენისამე მაზრის წარმომადგენლები შეადგენენ, შესაძლოა, საჭიროდ იცნოს სამეურნეო სკოლის დაარსება, მაგრამ შესაძლოა თითოეულის მაზრის წარმომადგენლებმა აუცილებლად თავის მაზრაში მოინდომონ სკოლისთვის ბინის დადება და ამიტომ ერობის უმრავლესობა არც ერთს მაზრაში არ დასთანხმდეს სკოლის გახსნას. ასეთი შემთხვევა მოხდა ტვერის საგუბერნიო ერობაში სწორედ სამეურნეო სკოლის გამო. ცხადია, ასეთი ანორმალური მდგომარეობა ფეხს მხოლოდ იქ მოიკიდებს, სადაც საზოგადოებრივობა ერობის მოღვაწეობისა ისე ძლიერ არ არის შეგნებული და შეთვისებული, რომ ვიწრო კერძო ინტერესებს დასძლიოს და საზოგადო ინტერესებს დაუმორჩილოს ისინი.

ერობის მოღვაწეობა სხვა და სხვა შინაარსისა და მიმართულებისა იქნება, იმისდა მიხედვით, თუ ვისგან იქნება შედგენილი საერობო კრება, ვის მიეცემა ნება მიიღოს მონაწილეობა საერობო მოღვაწეთა არჩევანებში. თუ ერობა საყოველთაო კენჭის ყრაზე დამყარდა, რომელიც ამასთანავე პირდაპირი და თანასწორი იქმნება, მაშინ ჩვენის ფიქრით, შესაწყნარებელია წვრილი საერობო ერთეული, იმ პირობით-კი, რომ ამ წვრილ ერთეულებს სრული უფლება ჰქონდეთ კავშირი იქონიონ ერთმანეთთან, საერთოდ იკისრონ ზოგიერთ საჭიროებათა დაკმაყოფილება, საერთოდ განიხილონ ზოგიერთი კითხვები და სხვა.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ წვრილ საერობო ერთეულთან მაინც და მაინც აუცილებლად უნდა ჰმოქმედობდეს უფრო ფართო ერთეულიც, რომელნიც ერთის მხრივ უცილობელს საერთო საჭიროებებს დააკმაყოფილებს და მეორის მხრივ სხვა და სხვა წვრილ ერთეულთა მოქმედებისთვის კომპენსატორის როლს შეასრულებს. შესაძლოა ერთი რომელიმე ერთეული იმდენად ღარიბი იყოს, რომ თავის ხარჯით რომელიმე საზოგადო საჭიროების დაკმაყოფილებას ვერ ასდიოდეს; ფართო საერობო ერთეული ასეთს შემთხვევაში დახმარებას უნდა აძლევდეს წვრილს ერთეულს და უნდა ჰშველოდეს იმ დრომდე, ვიდრე საკმაოდ არ გაისწორებს იგი ზურგს.

გ. რ.

სოფლად

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთაგან შემდგარს „შავ რაზმის“ მოქმედებას სვანეთის ბრწყინვალე თავადგარდაფხაძეებმაც წაბაძეს და აი, ორი თვის კარ-ჩაკეტილობის შემდეგ, ივნისის პირველ რიცხვებში ეს თავადები თოფ-იარაღში ჩასხმულნი სიმღერით და თოფის სროლით გამოემგზავრნენ ლეჩხუმში, რათა თავ-ზარი დაეცათ ყველასთვის, ვინც მათ წინ ქედს არ მოიხრიდა. ლეჩხუმში პირველად მობრძანდნენ ს. ორბელში, სადაც სახლები აქვთ და დაბინავდნენ. გაიგეს თუ არა სოფლელებმა მათი ჩამობძანება, თავზარ დაცემულნი მიიმალ-მოიმალნენ, მხოლოდ ერთი გლეხი, მწირლად ნამყოფი, რომელიც მისი მწირალსაც კი გადააჭარბებს, გულ უხვად მიეგება და მასპინძლობა გაუწია სტუმრებს. გულ უხვ მასპინძლის ნუნუათი შექეიფებულთ ასტეხეს ბერდანების სროლა და იწვევდნენ გლეხებს საომრად. რასაკვირველია, გლეხებმა არ ისურვეს მათთან მხედრულ სიმამაცეში ვარჯიშობა და მიიმალნენ. მხოლოდ ერთს მუნჯზედ გამოიჩინეს ვაჟკაცობა და ოთხჯელ ესროლეს თოფი, თუმცა უნაყოფოდ. მიზეზი ამ მუნჯის წინააღმდეგ გალაშქრებისა ის იყო, რომ მას ერთ მათგანისთვის მოსამსახურეობაზე უარი სთქვა. აქედან ბრბო გაემგზავრა სოფ. უცხერში, სადაც გულუხვი მასპინძლობა გაუწია ორმა თავადმა აქ შეზარხოშებულ მილიციონერებმა წახსნეს აღვირი ცხენებს და გაუშვეს გლეხების სავსე ყანებში, თვითონ-კი მიუხტნენ ერთს გლეხს მოსაკლავად და გლეხი რომ ვეღარ ნახეს, ჩრაზი ჰიშკარზედ ამოიყარეს და სულ ერთიანად მილეწ-მოლეწეს.

ამნაირის ძლევა-მოსილობით დაბძანდებოდნენ ჩვენის დროის სახელოვანნი გმირნი სოფლიდან-სოფლად ერთის კვირის განმავლობაში. შემდეგ, სრულიად დარწმუნებულნი, რომ მათ მხედრულ სიმამაცეს და რაინდულ თავგასულობას ვერვინ შეზღუდავს, წაბძანდნენ თავიანთ ციხე-კოშკებში. მკითხველი იკითხავს: პოლიციამ თავის ყაზახ-რუსებით და საერობო დარაჯებით მიიღო რამე ზომები ამ ლეკთა თარეშის წინააღმდეგ თუ არაო? მეც მოვახსენებ, რომ პოლიცია ჩვეულებრივის გულ-გრილობით უყურებდა ამ მძლავრთა თავ-გასულობას.

სამართალი და კანონი დამუნჯებულ-დაყრუებულია, როცა საქმე ამა სოფლის „დიდთა და ბრწყინვალე გვამთ“ ეხება, ხოლო განგაშსა სტეხს და ძალას იჩენს, როცა უბრალო მომაკვდავი და შავი სისხლის პატრონი ეხება.

სადაა სამართალი? **თავისუფალი სვანი**

ზემო იმერეთი. ომის გამო გამოწვეულმა ქესატობამ საგრძნობლად შეავიწროვა ზემოურები. წინა წლებში ქესატობა არ იყო, მაგრამ მაინც უჭირდათ სახელმწიფო გადასახადების გაღება, და ეხლა, როდესაც ფული ძნელი საშოვნელია, გაჭირვება გაორკეცდა. ერთად-ერთი შემოსავლის წყარო ზემო-იმერლებისათვის თითქმის ჭიათურაა. ეხლა თუმცა ხელფასი მუშისა რიგიანია, მაგრამ იმოდენა წარმოება არ არის, რომ ყველას შეეძლოს იქ სამუშაოს შოვნა. სამუშაოც რომ იშოვოს, გლეხს სარჩო შემოაკლდა, სათიბნი ძალზედ მოჭირებული აქვს და როგორ გაანებოს თავი მიწის მუშაობას და გაეშუროს ოჯახიდან ორიოდე გროშის საშოვნელად!

არ შეიძლება სიამოვნებით არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ერთობის შემოსავლის შემდეგ დიდი წესიერება დამყარდა არა მარტო ჭიათურის ბაზარში, არამედ თვით მარგანეცის სასწორზედაც, სადაც წინად დიდი ალიაქოთი და ჟაპა-ჟუპი იყო. მაშინ პოლიცია „იცავდა წესიერებას“, მაგრამ წესიერების ნაცვლად, ყველგან უწესოება იყო. მარგანეცის სასწორზედ ხშირად ასტყდებოდა ქლეტა-ხოცვა, მოისმოდა

ფელეტონი

საქართველოს მეფე და იმისი უფლების ისტორია.

(შემდეგი *)

თავი მეექვსე

რა უფლებით-და იყო აღჭურვილი საქართველოს მეფე სიცოცხლის დროს, სრული თვითმპყრობელი ბრძანდებოდა იგი, თუ მისი მოქმედების თავისუფლება როგორმე შეზღუდული იყო? მას შემდეგ, რაც სასანელთა გვარის სპარსეთის ხელმწიფეებმა მეფის უფლება საქართველოში მოსპეს „მით ჟამითგან, როგორც ჩვენი მემატიანე მოგვითხრობს, ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა კიდრე ამათამდე“-ო (მოქცევაჲ ქართლ. სამი ისტ. ხრ. 44) ე. ი. ბაგრატიონთა გვარის მეფეების გაბატონებამდე. მაშასადამე ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლება, რამდენადაც მათ მებატონე სპარსეთის მთავრობა ნებას მისცემდა, აზნაურების ხელში ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ხანის შესახებ ჯერჯერობით ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება და ამის გამო მკვლევარს შეუძლიან მამონდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების შესწავლისა. მემატიანეს აქვს მხოლოდ ერთი გაკვრით ნათქვამი წინადადება, რომელიც საქართველოს ისტორიის აზნაურთა უფლების ხანას ახასიათებს. ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს ეკუთვნის ეს წინადადება, რომელსაც ოდნავ შირაღი სიძულვილის და მედიდურობის კვალი ატყვია; მემატიანე თავმობეზრებული გვაუწყებს: „დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგანა“-ო (ibid. 44). ჩვენის თემისათვის ეხლა საჭირო არ არის გამოვარკვიოთ, თუ რამდენად მართალია ისტორიკოსი: ჩვენთვის ისიც კმარა, რაკი დამტკიცდა, რომ ვიდრე საქართველოში მეფობა აღდგენილი იქნებოდა, ქვეყნის უმთავრესი უფლება აზნაურებს ეკუთვნოდათ. „ქართლის ცხოვრებიდან“ სჩანს, რომ შემდეგშიაც, ვიდრე კონსტანტინე აფხაზთა მეფე ქართლს დაპატრონებოდა „დაიპყრობდეს ქართლსა აზნაურნი“ (გვ. 282). ქვეყნის გამგეობა აზნაურთა ხელში ყოფილა. ზემოთ მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეერთდნენ ქართველ მოდგმის ერთა განცალკავებული პატარა სამეფოები; მატიანედან სჩანს, რომ გაერთიანება ზოგჯერ ნებაყოფლობით იყო ხოლმე განხორციელებული, ხანდისხან-კი ძალდატანებითაც. საბუთები გვიჩვენებენ მხოლოდ, რომ მეფის უფლების აღდგენა საქართველოში ერის სურვილისა და მეცადინეობის წყალობით განხორციელებულა. რასაკვირველია, მეფობას დაარსებისათანავე აზნაურობას თანდათან კვლავინდებური უფლება და მთავრობა ხელიდან გამოეცლებოდა; ეს ამბავი-კი, რა თქმა უნდა, ბატონობას მიჩვეულ უმაღლესს წოდებას არაფრად ეჭაშნიკებოდა, ამის გამო, უეჭველია, გავლენიანი აზნაურობა არც თუ ძალიან მოწადინებული იქნებოდა, რომ საქართველოს ბატონი მეტის მეტად გაძლიერებულიყო. საქმე სწორედ ასეც დატრიალდა. მემატიანე, მაგალითად, გვიამბობს: „გარდმოვიდა ქართლს მეფე ბაგრატ (მე-III), რათა განაგენეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი· მო. გიდა და დადგა თიღვს. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდმოსვლა მისი, რამე თუ თჳთულად გააგებდეს საქმეთა ქართლისათა... იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. ესხდა რა ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თჳსთა, მივიდეს და შეებნეს, იოტნეს ქართველნი, რომელნიმე დახოცნეს, რომელნიმე შეიპყრნეს და სხვანი კვალად მოტნი გარდაიხვეწნეს და დაიფანტნეს; მოვიდა უფლის ციხესა... დაუვნა დღენი მცირედნი, განაგნა საქმენი ქართლისანი“ (ქრ. ცხ. 302, მარიამ დედ. ქარ. ცხ. ექ თაყაიშვილის გამოც. 239). ეს მემატიანეს ცნობა გვიჩვენებს, რომ თუმცა ქართლის აზნაურები მეფობის აღდგენის წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ მისი საქმეებში და ქვეყნის გამგეობაში ჩარევა არ მოსწონდათ,—ბრძანდებოდეთ მანდ აფხაზეთში და აქაურ საქმეებს ჩვენებურად მოვუვლითო. ქართლის აზნაურებს მაშასადამე ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლების დათმობა არა სურდათ და როცა მეფე ამათ ადგილებში გადმოვიდა, შეიარაღებულნი შეებრძოლნენ კიდეც. ამ დროიდან იწყება შეუწყვეტელი ბრძოლა ქვეყნის გამგეობის უფლების გამო მეფეებისა და აზნაურთა შორის. ხანგრძლივი, სასტიკი, ხშირად დაუნდობელი ბრძოლა იყო ეს მეტოქეობის ხანა; სწორედ ამ ბრძოლის ისტორიის გამორკვევასა და შესწავლას უნდა შევუდგეთ ჩვენ ეხლა. საკვირველია, რომ ჩვენ ისტორიის მკვლევარებს აქამდისინ არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ფრიად საინტერესო და საყურადღებო საკითხისათვის.

გარდაიცვალა თუ არა მეფე ბაგრატ III და ძე მისი გიორგი ტახტზე აბრძანდა, „ტადრობითა“ (ჰერეთ-კახეთის) აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს (ბაგრატის დაყენებული) ერისთავნი, მათ ქუეყნათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა აქუნდა იგი“ (სუმბატის ქრონ. სამი ისტ. ქრ. 67). აზნაურნი წინააღუდგნენ საქართველოს მეფეთ-მეფეს მისი უფლების გაძლიერების შესაფერხებლად და თავიანთი წინანდელი მმართველობა ირჩიეს. შეერთებულ სამეფოს ჰერეთ-კახეთი ჩამოეცალა, მაგრამ შერჩენილ სამფლობელოებშიაც აზნაურები გიორგის დიდ ერთგულებას არ უწევდნენ. იგივე მემატიანე მოგვითხრობს, ბერძნების კეისრის ბასილის შემოსევის დროს გიორგი მეფეს უნდოდა უთანხმოება მშვიდობიანად გაეთავებინა, „გარნა ორკერძოვე მზაკვარნი იგი აზნაურნი არა მოეშვნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდათ მშვიდობაჲ“-ო (ქრ. ცხ. 313, მარიამ დედ. ქრ. ცხ. 356). მამაზე უარესი გაჭირვება აზნაურებისაგან იმისმა შვილმა ბაგრატ მე IV გამოიარა: „აზნაურნი ტაოელნიო“, მოგვითხრობს მემატიანე სუმბატ დავითისძე, და ბანელი ეპისკოპოსი (იოანე) და ამათთან უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხეთა და რომელნიმე უციხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა“ (სამი ისტ. ქრ. 75). ხოლო როცა ერთი წლის შემდეგ საქართველოს ბასილ კეისრის ჯარი შემოესია, და ქვეყნის აოხრება დაიწყო და კლდე-კარს გარს შემოერტყა, „სადა იგი იყუნეს, მემატიანეს სიტყვით, მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი და ჩრდილი ყვეს, გარნა არა დიდად, და განდგეს კუალად აზნაურნი და მისცნეს ციხენი, ჩანჩუხამან ერისთავმან მისცა ციხე ცეფთისა და თუ წარვიდეს იყვნენ საბერძნეთს“ (ibid 76). აზნაურები იმდენად გატაცებულნი იყვნენ მეფის წინააღმდეგ ბრძოლით, რომ ღალატსაც კი არ ერიდებოდნენ ხოლმე. ამისთანა თავგანწირულ ერთგულებით საბა მტბევარ ეპისკოპოსს, აგრეთვე ახალ ეპისკოპოსს და შავშეთის აზნაურებს, რომ არ დაეხსნათ მეფე, მისი საქმე ცუდად დატრიალდებოდა. საზოგადოთ ბაგრატ მე IV-ს დიდებულ აზნაურთა წინააღმდეგობისა და ღალატისაგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. ბრძოლა იმდენად გამწვავდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორის სიტყვით, რომ „აბაზაძენი... კაცნი ძლიერნი და სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისა აღზევებულნი“ მეფეს მოსვენებას არ აძლევდნენ და წარმოიდგინეთ ისტორიკოსი ამბობს „უკეთურთა უწყეთ ჭეშმარიტებით, გითარმედ შეწყნარებაჲ მეფისა ევედრებოდათ“-ო (საეკ. მუზ. გამოც. გიორგი მთაწმ. ცხოვრება, გვ. 319) აბაზაძეებმა ლალად მეფის შეპყრობა-კი განიზრახეს, განა ამაზე მეტიდა შეიძლებოდა? ვინ იყვნენ მერე ეს თავზე ხელაღებულნი აბაზაძენი? „ქართლის ცხოვრებიდან“ სჩანს, რომ ერთი ამ ხუთ ძმათაგანი ქართლის ერისთავადა ყოფილა მაშინ (ქრ. ცხ. 323), მაშასადამე დიდებულ მოხელეთა და აზნაურთა წრეს უნდა ეკუთვნოდნენ ისინი; ამიტომაც ამბობს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორი „კაცნი ძლიერნი და ახოვანნი“-ო; ხოლო როცა იგი ამტკიცებს, აბაზაძენი „სიმართლესა ზედა ერისა აღზევებულნი“ იყვნენო, რასაკვირველია, ამ დიდ აზნაურთა მრავალი მომხრენი და საკუთარი ჯარი უნდა ვიგულისხმოთ. ბაგრატ მეფემ თითონ შესჩივლა გიორგი მთაწმინდელს, „მრავალ გზის ხელმეყო და ვეროდეს განძმარჯვა“-ო (გიორგის ცხოვ. ibid. 319—20). როგორც იყო, ეს თავგასული აზნაურები მეფემ შეიპყრო და თავიდან მოიშორა (ibid. 319). მეორე დაუძინებელმა მეტოქემ და ძლიერმა მოწინააღმდეგემ ლიპარიტმა-კი მეფეს აჯობა. ჯერ იყო და „მოიყვანა ლიპარიტ დემეტრე ძმა ბაგრატისი, სამეფოდ ბერძენთა მეფისა დაშქრითა და მეერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი“ (ქრ. ცხ. 324) ლიპარიტი, ეტყობა ბაგრატ მეფეს ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა და მის მაგიერ დემეტრეს გამეფება სურდა. ძლივსძლივობით მეფე და ლიპარიტი შერიგდნენ; ბაგრატი იმდენად უძლური იყო, რომ ამ თავის მედგარ მოწინააღმდეგესა და მეამბოხეს ლიპარიტს „უბოძა ქართლისა ერისთაობა“ (ქრ. ცხ. 325), იქნება ურჩი აზნაურის გული ამით მაინც მოეგო. მაგრამ არც ამ წყალობამ გასჭრა: ლიპარიტი რამდენჯერმე კიდევ აუშალა მეფე ბაგრატს და ისეთი დღე დაუყენა, რომ საბერძნეთში გახიზვნის მეტი აღარა დარჩა რა. რაკი საქმე ასე დატრიალდა, ვიდრე იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვაო, მოგვითხრობს მემატიანე ლიპარიტსე ბაგრატისა გიორგი მეფედ... მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა, მოიყვანეს რუისს, აკურთხეს მეფედ და მოიყვანეს საზრდელად მისსა ლიპარიტ“ (ქრ. ცხ. 329). ასე გაიმარჯვა ლიპარიტმა: ბაგრატი ხელცარიელი დარჩა, ხოლო ახალგაზდა მეფის აღმზრდელად თითონ ბრძანდებოდა ამორჩეული და მეფის და სამეფოს გამგეობა, რასაკვირველია, ლიპარიტს ჩაუვარდებოდა ხელში. ყველა ზემოყვანილ ცნობებიდან ცხადადა სჩანს, რამდენად უღონო იყო მაშინ საქართველოს ბატონი და რამდენად ძლიერნი იყვნენ აზნაურები, რომელნიც თავგამოდებით და დაუზოგავად ებრძოდნენ ხოლმე მეფეს. რასაკვირველია, ასეთ მეფეებს, რომელთაც საქართველოს ბატონებისავით აზნაურთა წინააღმდეგობითა და ბრძოლით ილაჯი გაწყვეტილი ჰქონდათ, არ შეიძლება თვითმპყრობელის სახელი უწოდოს კაცმა, თუნდაც რომ თვით მეფეებს ჩვენ ხელმწიფეებსავით „აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელებად“ ალიარებინათ თავისი თავი. უეჭველია ამ მეფეების სურვილსა და სიტყვას მოუმენი კანონად არ ჩასთვლიდნენ და ადვილადაც დაარღვევდნენ. ხოლო რაკი აზნაურობა ასე ძლიერი იყო და თავის უფლებას თავგამოდებით იცავდა, მეფეს, რასაკვირველია, არ შეეძლო სამეფოს გაჭირვებასა, ან სხვა დიდმნიშვნელოვან საქმეების დროს აზნაურების დაუკითხავად რამე გაეკეთებინა; იგი ჯერ იმათთან ითათბირებდა ხოლმე, მერე საერთო სურვილის თანახმად მოიქცეოდა ხოლმე. როცა მაგალითად, გიორგი II სელჯუკთა შემოსევამ და ქვეყნის დაწიოკებამ თავი მობეზრა და საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა, მეფემ მემატიანეს თქმით ჰყო კანზრახვა დიდებულთა თვისთა თანა და დაამტკიცეს წარსვლა სულტანსა მალიქშას წინაშე“ (ქრ. ცხ. 346). ხელმწიფემ, როგორც სჩანს თითონ არ იცოდა რა ექმნა და ამის გამო დიდებულ აზნაურებს დაეკითხა რჩევას.

მაგრამ თუ აზნაურები იბრძოდნენ თავიანთ უფლებათა დასაცავად არც მეფეები შესცქეროდნენ გულხელდაკრებილნი: ისინი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ სულ იმის ცდაში იყვნენ, ზურგი როგორმე გაემაგრებინათ. თვითოეული მეფეთაგანი სხვა და სხვა ხერხსა ხმარობდა ხოლმე ამისათვის; ბაგრატ მესამე, მაგალითად „ურჩნი თვისნი შესცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგულნი და მისწრაფედ მორბილნი ბრძანებასა მათსა“ (ქრ. ცხ. 304) მეფემ ხუმრობა არ იცოდა და დაღს აზნაურს მალე მოიშორებდა ხოლმე თავიდან, ეს იყო მისი საზოგადო და ჩვეულებრივი ხერხი; თუ შეამჩნევდა რასმეს, ჯერ მემატიანეს სიტყვით, „მცირედ ამხილის უგულოთა, გინ უკუეოვის ურჩი და მისსა ადგილსა განადიდის ერთგული და მისანდობელი თვისი“. (ქრ. ცხ. 302) გიორგი მეფე-კი (მე II) უფრო სიფრთხილითა და გულკეთილობით ცდილობდა თავის მოწინააღმდეგეების გული მოეგო: ისტორიკოსი ამბობს „ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა და დაიწყნარა მეფობა თვისი გიორგი მეფემან“-ო (ქრ. ცხ. 341) მეტი ღონე რომ არა ჰქონდა, სხვას რას იზამდა? ცხადია მხოლოდ, რომ მოღალატისა და ერთგულის თანაბარი წყალობა და დაჯილდოება სახელმწიფო ცხოვრებაში გამოუდეგარი საშუალებაა და მარტო უძლურ გამგეს თუ მიეტევება, თორე სხვას არავის; ნაწყალობევი მემბოხე აზნაური და ურჩი მოხელე თავისას არ დაიშლიდა და როცა იმისთვის ხელ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2860.

მუშის კეტისა და „სტრაჟნიკების“ მათრახების ზუზუნი, ყვირილი, კივილი და ლანძღვა-გინება. გეგონებოდათ ომიაო. ეხლა-კი სულ სხვა სურათს წარმოადგენს ქიათურა თავის სასწორებით. სათაყვანოა ის ძალა, რომელმაც შესძლო შეუძლებელი და ზემოურები წესიერებას მიაჩვია. სამაგალითო სიმშვიდე სუფევს დღეს ქიათურის ბაზარში, განსაკუთრებით-კი სასწორებზედ. უწინ ხომ ერთი მეორეს ასწრებდა ასაწონად. დღეს მშვენიერ წეს-რიგზედ დაყენებული ურმები და ჩალვადრები ბაწარივით არიან ერთმანეთზედ მობმული და მოთმინებით ელიან თავიანთ რიგს.

ყველამ ერთნაირად ვერ შეიგნო „ერთობის“ მნიშვნელობა: ზოგს ეგონა ახლა დადგა ძარცვა-გლეჯის დროო და კიდეგაც შეუდგა ამ „მოღვაწეობას“, მაგრამ მათ წინააღმდეგ მიღებულმა ზომებმა სასურველი ნაყოფი მოიტანა და ავაზაკობის რიცხვმა საგრძნობლად იკლო. იმედია, რომ ხალხის მიერ მიღებულ ზომებით ავკაცობა და ავაზაკობა სრულიად მოისპობა.

ზემოურებს ძრიელ უყვარდათ საჩივრები. ორი-სამი მანეთის გულისთვის რამდენსამე დღეს ახმობდნენ სოფლის კანცელარიებში და თან ორი-სამი მანეთის სადილი ძღვენიც მიჰქონდათ „სუდიებთან“. უკანასკნელნი განცხრომაში იყვნენ მწიფე დედლებისა და ზემოურ ფუცხუნა, მჟავე ღვინოებით, „საჩუქრებსაც“ ბევრს იღებდნენ. ეხლა-კი ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში: გლეხები „კანცელარიას“ სნებასავით ერიდებიან.

თავად-აზნაურობა დღემდის თუ არა კადრულობდა მუშაობას და გაიძახოდა მე კეთილშობილის სისხლი მიდგა და გლეხის ტოლი არა ვარო, დღეს სხვა ჰანგზედ დაიწყო გალობა და „იკადრა“ მუშაობა. თავის პირით უცხადებენ ეხლა თავათ-აზნაურნი გლეხებს ძმობას და სიყვარულს.

მოსავალს აქეთ კარგი პირი უჩანს.

ა. ი. ჩ—ძე.

ახალი ამბავი

◆ როგორც ვწერდით, ხვალ, 16 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით სასახლეში **მოხდება კრება საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად.** ამ კრებაზედ მიწვეულნი არიან: ტფილისის გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ტფ. ქალაქის მოურავი ქ. ვერმიშევი, გამგეობის წევრი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარედ ნამყოფი თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორი თავ. ვ. ს. მიქელაძე, წარმომადგენელნი საზოგადოებისა: სასოფლო-სამეურნეო, სამკურნალო, იურიდიულ, სატეხნიკო და სხვათა, ქალაქის ვაჭართა და სახელოსნო საზოგადოებისა და ყველა იმ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელთაც რამე დამოკიდებულება აქვთ კავკასიის სამეურნეო ნაწილთან. მიწვეულია სულ 60 კაცი. ამ კრების გათავების შემდეგ მოწერილობანი დაეგზავნებათ კავკასიის გუბერნატორებს, შეუდგნენ სამაზრო და საგუბერნიო კრების მოწვევას.

◆ 13 ივლისს მოხდა **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** კრება. საზოგადოებამ ამ დღეს გაიცნო ნამესტნიკის კანცელარიის მიერ შედგენილი მოხსენება საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ და შემდეგ აარჩია წარმომადგენელნი იმ კრებაზე დასასწრებლად, რომელიც ხვალ, 16 ივლისს, მოხდება ნამესტნიკის თავმჯდომარეობით. არჩეულ იქმნენ: ვ. ი. რცხილაძე, ა. ს. ფირალოვი და ე. ო. იოსელიანი.

◆ „კავ.“-ში დაბეჭდილია: „**ტფ. პოლიცმეისტერის გ. ს. კოვალევის ჯანმრთელობაში, რომელიც 12 ივლისს ყუმბარით დაჭრეს**, თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა. ავადმყოფი ტკივილს ჰგრძნობდა დაჭრილ ფეხში. რაც შეეხება მძიმედ დაჭრილ დამნაშავეს თავ. ლევან ხერხეულიძეს, რომელმაც ყუმბარა ესროლა პოლიცმეისტერს, 13 ივლისს იგი უკედ გახდა. ექიმების აზრით, შესაძლებელია იმისი მორჩენა“.

◆ 21 ივლისს მომხდარა ზაქათალის ოლქის **სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება.** კრებას დაუგმია სკოლის ეხლანდელი რეჟიმი და დაუდგენია, მოითხოვოს, რომ ზაქათალის ოლქის სამრევლო სკოლებში სამშობლო ენაზე მოეწყოს ყველა საგნების სწავლება. კრებას გადაუწყვეტია, თუ ვინიცობა 1905/6 სასწავლო წლიდან სამრევლო სკოლებში სწავლება შემოღებულ იქმნა ვოსტორგოვის მიერ შემუშავებულ პროგრამით, ყველა მასწავლებელმა მასწავლებლობაზე ხელი აიღოსო.

◆ 21 ივლისს მომხდარა ზაქათალის ოლქის **სამღვდელოების კრება.** კრებას გაუცვნია ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების გადაწყვეტილებანი (ზაქათალის სამღვდელოება ამ კრებას ვერ დაესწრო) და დაუდგენია, შეუერთდეს ამ კრების მოთხოვნილებებს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქონლის სადგურზე **ვაგონების ტვირთვა და დაცლა** იჯარით აღებული ჰქონდა ერთს კაცს, რომელსაც იჯარის ვადა გაუთავდა, სადგურიდან რაღაც მიზეზით დაუთხოვნიათ 200 მუშა და ნაცვლად სამუშაოზე გარეშენი მიუწვევიათ. ამ გარემოების გამო მოლაპარაკება აქვთ როგორც რკინის გზის დეპო სახელოსნოებისა, ისე სხვა დაწესებულებათა მუშებს.

◆ ალექსანდროპოლის მცხოვრებს აპიანცს უთხოვნია ნამესტნიკისთვის, ნება დართოს გამოსცეს **სომხური გაზეთი** „ახმურიანი“, ხოლო ტერ-ასტვაცატურიანს—სომხური ჟურნალი „მატენაგეტი“.

◆ **კავ. საფილოქსერო კომიტეტი** წელს, გლეხთა მოძრაობის გამო, დასებს აღარ გაჰგზავნის სოფლად ფილოქსერის გამოსაკვლევად.

◆ ტფილისის მაზრის უფროსი თავ. დ. გ. ჯანდიერი უკვე დაბრუნდა ტფილისში სართიჭალის საბოქაულოდან, სადაც იგი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძეს გაჰყვა ტფილისის მაზრის გლეხობის მოძრაობის შესაჩერებლად.

◆ ტფილისის მეათე საპოლიციო ნაწილში საქონლის ჭირმა იჩინა თავი. ყოველი ზომა მიღებულია, რომ ავადმყოფი საქონელი არ მიაკარონ სხვა საქონელს. მეათე ნაწილში, ე. ი. კუკიაში ქალაქის საძოვარზე არ გაჰრეკონ მწყემსებმა საქონელი; გამოეცხადა დახოცილ პირუტყვთა გამზიდავს აგენტს, რომ ჭირიან საქონლის გადასაზიდად განსაკუთრებული ტაჩკა იქონიოს, აგრეთვე უთუოდ დასწვან ხოლმე ჭირიანი საქონელი. იმ ადგილს, სადაც საქონლის ჭირი გაჩნდა, მაშინვე დეზინფექცია მოახდინეს. ეს—და აკლდა ტფილისის მცხოვრებთ და სხვა გასაჭირთან ისეც მიემატათ. იკითხონ ღარიბებმა, თორემ მდიდართათვის ხომ მუდმივ იპოვებიან ყოველნი სიამენი ამა სოფლისანი...

◆ 13 ივლისს ტფილისის ქალაქის სარევიზიო კომისიამ განიხილა ქალაქის გამგეობის სამი უკანასკნელ წლის ანგარიშები.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის საზოგადოება მოუთმენლად მოელის ახლად დანიშნულ გუბერნატორს სტაროსელსკის, რადგან აქ ხმები დადის, რომ ახალ გუბერნატორის ჩამოსვლისათანავე ჰფიქრობს ბევრ შეღავათების შემოღებას, როგორც ქალაქისა, ისე საზოგადოდ მაზრისათვისაც. უკანასკნელ გაფიცვების შემდეგ ერთ კვირამდის ცოტად მშვიდობიანად იბრუნებდა ქალაქის მცხოვრები სულს.. დღეს კვლავ დაანავარდებენ ცხენოსნები ცხენებს, ორს კაცს ერთად ვერ გაუვლია ქუჩაში.

◆ ბათუმის ქალაქის თავს თავ. ანდრონიკაშვილს კიდევ მიმართეს წინადადებით, რომ მიიღოს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის ადგილი. აქ ხმები იყო, რო ი. მეუნარგია მოლოცვებსაც იღებსო, რაკი პირველში თავ. ანდრონიკაშვილმა უარი განაცხადაო და დღეს ისევ ამ უკანასკნელს ასახელებენ.

◆ ჩვენი საზოგადოება გულის წყრომით გოდებს, რომ სხვა და სხვა პარტიებს შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავებულია. მშვიდობიანი კამათი, სჯა-ბაასი და მსჯელობა აღარ არის, პირადობის შეხება, კიცხვა და ძაგება რწმუნების კი ერთობ ხშირია. თითქმის მუშტ-კრივზედაც მიდიან...

◆ ქურდობამ და ძარცვა-გლეჯამ ძალიან მოიკიდა ფეხი ამ უკანასკნელ ხანებში აქეთ. ღამე ისე არ გავა, დუქანი არ გატეხონ, არავის დაუხვდნენ და არა აფცქვნან, რაც კი ზედ გაჩნდება.

◆ წუხელის, მეათე საათი იქნებოდა, ქალაქის ბაღთან რევოლვერი ესროლეს ჩხარის ბოქაულს ესაიაშვილს. ტყვია მკლავში მოხვდა. ჭრილობა მსუბუქია. მსროლელი მიიმალა.

◆ მომავალ ქართულ წარმოდგენების სეზონის ბედ-იღბალი ახალს კერძო წრეზეა დამოკიდებული, რომელიც შედგება ქუთაისში პაებით. პაი 25 მან. ნაკლები არ არის. ამ ჟამად ოცდახუთ კაცამდე ჩაეწერა კიდეც. უნდა დაარსდეს კომიტეტი, რომელიც განაგებს წარმოდგენის საქმეებს, ხელთ ექნეს ანტრეპრიზა ქუთაისის ქართულ თეატრისა. რეჟისორად მოწვეულ იქნეს ვ. ს. მესხიშვილი.

◆ გადასახადთა ინსპექტორი ი. მ. ჩიქოვანი გამოეწერა უკვე საავადმყოფოდან. ჩიქოვანი თითქმის სულ გადაურჩა ჭრილობას და ფეხზე დადის ამ ჟამად.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა

13 ივლისს, როგორც იყო, დასრულდა სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების კრება. კრება ისე გაჭიანურდა, რომ ბოლოს და ბოლოს წევრებმა სულ ერთიან აიცრუეს გული და კანონიერი რიცხვი ძლივ ძლიობით იკრიბებოდა. 13 ივლისსაც ასე მოხდა: ათის ნახევრისთვის ძლივს შეიკრიბა 25 წევრი და კრებაც დაიწყო.

პირველად კრების თავჯდომარემ, ბ-ნმა ვირსალაძემ განაცხადა: საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულმა კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისამ არჩევისთვის მადლობა შემოთვალა, მაგრამ თანამდებობაზე-კი გადაჭრით უარი განაცხადა. ამიტომ კრებამ დღეს უნდა აირჩიოს როგორც თავმჯდომარე, ისე მისი ამხანაგი და წევრები კომიტეტისა.

როდესაც თავმჯდომარის დასახელებას შეუდგნენ, ექიმმა გაბაშვილმა სთქვა: ჯერ კიდევ 1894 წელს საზოგადოების კრებამ დაადგინა, რომ კომიტეტს გუბერნიის მარშალი ჰყოლოდა თავმჯდომარედ და მართლაც ადრე თავ. მაღალაშვილი ყოველთვის ესწრებოდა კრებებს და მხურვალე მონაწილეობას იღებდა სკოლის საქმეში. შემდეგ ასევე იქცეოდა თავ. მუხრან-ბატონი. რადგან ეს დადგენილება დღემდე ძალაშია, უკეთესი იქნება კომიტეტის თავმჯდომარედ გუბერნიის მარშალი იყოს, ხოლო იმისი ამხანაგი ამოვირჩიოთო. კრებამ მიიღო ეს წინადადება. შემდეგ შეუდგნენ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგისა და წევრების დასახელებას. დაასახელეს ოთხი კაცი: პ. გოთუა, ი. ნ. მაჭავარიანი, გ. ს. რცხილაძე და თავ. კ. მაყაშვილი. ამათგან ვისაც მეტი ხმა ამოუვიდოდა, ის იქნებოდა თავმჯდომარის ამხანაგად. რამდენჯერმე კრებამ ბ-ნს ვირსალაძეს სთხოვა თავმჯდომარის ამხანაგად ყუთი დაედგა, მაგრამ მან უარი განაცხადა. შემდეგ მოხდა კენჭის ყრა. რადგან ბ-ნ გოთუას მეტი ხმა ამოუვიდა, იგი იქნება თავმჯდომარის ამხანაგად. დარჩა კიდევ ამოსარჩევი კომიტეტის ორი წევრი და სკოლის საქმეების შესახებ მუდმივი სარევიზიო კომისია. რადგან გვიან იყო, კრებამ არჩევანი გადასდო და დაავალა კომიტეტს ახლო მომავალში საგანგებო კრება მოიწვიოს არჩევნების მოსახდენად და სხვა საკითხების განსახილველად.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, კომიტეტმა ორი სპეციალისტი ბუხჰალტერი მოიწვია, რომელთაც შეამოწმეს თურმე სამი წლის დავთრები სკოლისა, მაგრამ ვერა ბოროტ-მოქმედება ვერ ნახეს. 13 ივლისს, სხდომის დასასრულ, თავმჯდომარემ ეს ამბავი აცნობა კრებას.

რუსეთის ქრონიკა

სამსახურიდან გაქცეული სალდათები. როგორც „რ. ს.“ აცნობებენ ხარკოვიდან, 21 ივნისს ღამე პოლიციას დაუჭერია სამსახურიდან გაპარული რამდენიმე სალდათი.

პროკლამაციების პოვნა. რიგაში დიდძალი საზღვარ-გარეთიდან მოტანილი პროკლამაცია უპოვნიათ. დამოენის მოხელე, რომელსაც პოლიციაში მიჰყავდა პროკლამაციების მომტანი ყმაწვილი კაცი, გზაში ისე მძიმედ დაუჭრიათ, რომ რამდენისამე საათის შემდეგ გარდაცვლილა. პროკლამაცია სამ ენაზე ყოფილა დაბეჭდილი. („ვ. ნოვ.“).

სურელი იქნებოდა კვლავინდებურ გზას დაადგებოდა. აკი ასეც იყო ხოლმე. გიორგი მეფის სახელოვანმა შვილმა დავით აღმაშენებელმა ეს კარგად შეიგნო და როცა ლიპარიტმა მამა-პაპეული ორგულობა გამოიჩინა, „ინება გაწყრომა მისი ამისთჳსცა პყრო ილ ჰყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისისამე და... განუტევა იგი და მითვე დიდებითა ამყოფა და არა შეუცვალა“ (ქარ. ცხ. 349). ჩვენა გვხედავთ, რომ უზრო წყალობის მაგიერ დავით აღმაშენებელი მოღალატეებს საპყრობილეში ამოუკრავდა ხოლმე თავსს. მაგრამ პირველ დანაშაულობისათვის მეფე მაინც თანამდებობას არ ართმევდა ხოლმე, მაგრამ თუ მოხელე თავისას არ დაიშლიდა და ორგულობას შეამჩნევდა, მემატიანეს სიტყვით, „იხილა რა მშვიდმან და ღვთივ განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კვალად შეიპყრა ორწელ ჰყრობილ ყო და საბერძნეთს გაგზავნა“ (ქარ. ცხ. 349). მეფე, როგორც სჩანს, მოღალატეთა დასასჯელად საუკეთესო საშუალებად საპყრობილეს სთვლიდა. მაინც და მაინც ამისთანა შემთხვევებში დავით აღმაშენებელი ძალიან მკაცრად არ იქცეოდა და სიკვდილით არა სჯიდა დამნაშავეებს, მხოლოდ სამუდამოდ საქართველოდან განაძევებდა ხოლმე. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური სიბრძნე და შორს გამჭვრეტელობა, სახელმწიფოს შინაურ საქმეების მოწესრიგების მოღვაწეობა ჯერ შესაფერისად დაფასებული არ არის. მერე რა დიადი იყო ეს მეფის პოლიტიკა, რა ღრმა წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების დაკვირვებასა და ცოდნაზე იყო იგი დამყარებული. ისტორიკოსი მოგვითხრობს, დავით აღმაშენებელი დაკვირვებამ დაარწმუნა რომ „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთგანვე თჳსთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ განსუქდნენ და დიდება ჰყონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“-ო (ქარ. ცხ. 378). რასაკვირველია, აქ უმაღლეს წოდებაზე, აზნაურობაზეა ლაპარაკი. დიახ, შესანიშნავმა ხელმწიფემ დაინახა, რომ აზნაურთა აშლა მეფის წინააღმდეგ და ორგულობა საზოგადო მოვლენა იყო და არა შემთხვევითი; საზოგადო მოვლენა იმიტომ იყო, რომ აზნაურები ცდილობდნენ წინანდელი გავლენა და უფლება შეერჩინათ კიდევ როგორმე და მეფისათვის კი არ დაეთმოთ. დავით აღმაშენებელი ხედავდა აგრეთვე, რომ აზნაურები ერთად იკრიბებოდნენ, ერთად მოქმედობდნენ საქართველოს ბატონის წინააღმდეგ; მეფეს კარგად მოეხსენებოდა, რომ აზნაურებს თავიანთი ჯარი—მოყმეები ჰყავდათ და შეერთებულ აზნაურთა ჯარის წინააღმდეგ მეფესაც-კი გაუჭირდებოდა. აკი ამიტომაც მოსდიოდათ მარცხი მის წინაპრებს გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II. ცხადი იყო, რომ თუ მეფეს სურდა თავის მოწინააღმდეგეებისათვის ეჯობნა, ამისათვის საჭირო იყო მუდმივი ძლიერი და მრავალ რიცხოვანი ჯარი ჰყოლოდა დამზადებული; საკუთარი ლაშქარი-კი აზნაურთა ჯარის დაუხმარებლივ სამეფოდ არ მოეპოვებოდა მეფეს (ქარ. ცხ. 357). თავისი დიადი პოლიტიკური ნიჭი და შორს გამჭვრეტელობა დავით აღმაშენებელმა სწორედ ამ ძნელ და გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოიჩინა. თავისი თავის გასაძლიერებლად მეფემ ყივჩაყთა 50,000 ჯარის-კაცი დაიქირავა, გაწვრთნა და მუდმივ დამზადებული ჰყავდა საბრძოლველად (ქარ. ცხ. 357-8). უეჭველია, ნაქირავები ჯარი დავით აღმაშენებელმა იმიტომ გადმოიყვანა ყივჩაყთაგან, რომ მისი თანამეცხედრე ყივჩაყთა მთავრის ქალი ბრძანდებოდა და ნათესაობის გამო მეფეს იმედი ექნებოდა ერთგულობას გამოიწევენ და აზნაურებს მხარს არ დაუჭერენო. ქონებრივად ყივჩაყნი მეფისგან იყვნენ დამოკიდებულნი და მის წყალობის შემაცქერალნი იყვნენ, ამიტომ ისინი ყოველთვის სულ იმის ცდაში იქნებოდნენ, ეგებ ბატონის ყურადღება დაემსახურებოთ. აზნაურთა ჯარს-კი, თუნდაც ერთგულ აზნაურთა ჯარი ყოფილიყო, ხელმწიფე მუდმივ ვერ ენდობოდა. როცა დავითმა ასეთი დახელოვნებული და ერთგული მხედრობა გაიჩინა, მას შეეძლო მოწინააღმდეგე აზნაურთა ძალა დაემარცხებინა. რაკი დავით აღმაშენებელმა აზნაურთა ორგულობის ოინები იცოდა, „ამისთვისცა არა ოდეს მოაცალა ამისად განზრახვად, ანუ განსვენებად, ანუ მედარებად და ქმნად რასამე ესევითარისა“ (ქარ. ცხ. 378); გაიგებდა თუ არა მეფე, რომ მისი მოწინააღმდეგენი შეკრებისა და შეთქმულობის მოწყობას აპირებდნენ, მაშინვე ჯარით თავს დაესხმოდა და საქმეს ჩაუფუშავდა ხოლმე. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, და დიდთა და მცირეთა საქმეთა ქმნილნი, კეთილი გინა ბოროტი სიტყვა თქმული არა რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის, ანუ თუ ეთქვის ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსაო“ (ქარ. ცხ. 374). რასაკვირველია, ამგვარ გულთმისნობის გამოჩენა მეფეს მხოლოდ ჯაშუშთა დახმარებით შეეძლო; როგორც ეტყობა, დავით აღმაშენებელს ჯაშუშები ჰყოლია და ამ მხრივ იგი სელჯუკთა შაჰების ჩვეულებას აჰყოლია (სიასეთნამეში) ჯაშუშების დახმარებით მეფე სჯიდა „ორგულობასა და ზაკვასა და ღალატსაო“ (ქარ. ცხ. 374), ამბობს მემატიანე: შეუტყობინებდნენ თუ არა ისინი, დავითი უცბად თავს დაესხმოდა ხოლმე შეთქმულთ და დაასატიმრებდა. ისტორიკოსი მოგვითხრობს: ორგულობისა და ღალატის განზრახვისათვის, მრავალნი განპატიჟებულნიცა იყვნენ“-ო (ქარ. ცხ. 375). თანდათან მთელი თავისი ძალღონე დავით აღმაშენებელმა ურჩ აზნაურებთან ბრძოლას შეალია. მეფეს სახელმწიფოს წინაშე იმის დვაწლი მაუძღვის, რომ აზნაურთა შეერთებულ წინააღმდეგობის დასამხობად მან გარკვეულ, ტაქტიკურ ბრძოლას მიჰმართა და თავის წინაპრებისავით გზა დაბნეული არ მოქმედობდა. გარკვეულმა მიზანმა მტკიცე მოქმედებაც შექმნა: მეფე უფრო ღონისძიებასა ხმარობდა, რომ დიდებულ და თავგასულ მოხელეებისათვის თანამდებობა ჩამოერთმია და მათ ადგილას დაბალ წოდების წევრი, ანუ, როგორც აზნაურები ეძახოდნენ, „ვინმე უგვარონი“ დაენიშნა; თანდათან უმაღლესი მოხელეობა მეფის ერთგულ, „უგვარო“-ების ხელში გადადიოდა (ქარ. ცხ. 378). მართალია, მემატიანეს სიტყვებიდანა ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგე აზნაური მოხელეები მარტო ძალით არ ებრძოდნენ მეფეს და მას ქვეყნის კეთილდღეობის დამხობასაც აბრალებდნენ ხოლმე: საქართველო მეტისმეტი მოლაშქრობითა და ომიანობით წელმოწყვეტილია. ყოველთვის ვერ აიტანს ამოდენა ჯარისა და სისხლის ღვრასა. ერთიც ვნახოთ უბედურება დატრიალდეს და სახელმწიფო დაუძლურდესო, გაიძახდნენ ისინი. ისტორიკოსის სიტყვიდანა ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგაც-კი იყვნენ „მაბრალებელნი მეფისანი, ჯერეთცა ესეოდენ მჭირხედ დამოლაშქრებისათვის და მხედრობათა მისთა განუსვენებელისა მიმოსვლისათვის და ვითარმედ „არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცემულობისა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხიპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თვითოეული მათი უხმარ იპოვისო“ (ქარ. ცხ. 376—7). რასაკვირველია, მეტისმეტ დამოლაშქრების, ანუ მილიტარიზმის მოწინააღმდეგეთა შორის ისეთი პირებიც ერივნენ, რომელნიც გულწრფელად ემდუროდნენ თავით აღმაშენებელს, ქვეყანას ღუპავ შენის დაუსრულებელ ომიანობითაო, რომელთაც მარტოოდენ საქართველოს კეთილდღეობის უანგარო სურვილი ალაპარაკებდათ ასე. მაგრამ მემატიანეს სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ ამ საბუთით მეფის მოწინააღმდეგე აზნაურებსაც უსარგებლნიათ. მეფის გაძლიერება რომ შეეფერხებინათ და თავიანთი წოდებრივი უპირატესობა და უფლება შეენარჩუნებინათ, იმათ გოდება მოურთავთ დამოლაშქრებისაგან ქვეყნის კეთილდღეობა იღუპებაო. ისტორიკოსმა იცის, რა გულისტკივილიცა ჰქონდათ იმ აზნაურებს და სახელდობ მეფის მოღვაწეობის გასამართლებლად შესაფერს პასუხს აძლევს კიდეც (ibid.). დავით აღმაშენებლის დროს საქართველო გაძლიერებული და უზრუნველყოფილი იყო როგორც მეზობელთა შემოსევისაგან, ისე აზნაურთა განდგომილებათა და ღალატისაგან.

როგორ მიმდინარეობდა საქმე დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ გიორგი III-ეს მეფობამდე, არა ვიცით, რა, იმიტომ რომ დიმიტრი და დავით მეფეებს საკუთარი მემატიანენი არ ჰყოლიათ, ან თუ ჰყავდათ, მათ ნაწერებს ჩვენამდის არ მოუღწევია. თამარ მეფის ისტორიკოსი გაკვრით ამბობს მხოლოდ, რომ დიმიტრი პირველის შვილი დავით „ღალატს და განდგომილებასა შინა მამისა თვისისა (ქარ. ცხ. 395, მარიამ დედ. გარ. 386) ედო დანაშაულობაო. მემატიანეს სიტყვებიდანა ჩანს, რომ იმ ღალატში მხურვალე მონაწილეობა საქართველოს დიდებულ აზნაურებს მიუღიათ; იქნება მთელი ეს საქმე მათი განზრახული და განხორციელებული ყოფილიყოს კიდეც. ისტორიკოსის სიტყვით დავითის გულისათვის დაისაჯნენ „ამისა სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორია ქმნით, რომელნიმე სიკვდილით და რომელნიმე განპატიჟებით“ (ქარ. ცხ. 395—6, მარიამ დედ. გარ. 386). რასაკვირველია, ამ მეფის ძის განდგომის ამბავის შესწავლას ჩვენი თემისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა, რომ საკმაო მასალები მოიპოვებოდეს, იმიტომ რომ შესაძლებელია გამოკვლევა, თუ როგორ გამოიყენეს მეფის შვილის განდგომა დიდებულმა აზნაურებმა თავიანთ პოლიტიკურ წადილის განსახორციელებლად. ასეთივე ამბოხება გიორგი III-ის დროსაც მოხდა, როცა მეფის ძმის წული დემნა ბიძას ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა. ეს ამბოხება მოაწყეს დემნას სიმამრმა ორბელმა, მისმა გვარმა „და ყოველთა ტომთა და მამამთავართა მათთა, სამცხელთა, ჰერთა, კახთა და სადა ვინ ნათესავი და ნატამალი მოსმენარ მათდა იყო“ (ქარ. ცხ. 396, მარ. დედ. გარ. 386). გიორგი III ერთ ხანს დიდ განსაცდელში ჩავარდა და დემნასათვის რომ ზოგიერთებს არ ეღალატნათ, იქნება გამარჯვება ძმის-წულს დარჩენოდა. თუმცა ამ აზრის შესახებ ცოტა მეტი ცნობები მოიპოვება, სომეხთა ისტორიკოსი სტეფანოსი ორბელიანიც საგულისხმიერო მასალებს გვაძლევს ამის შესახებ, მაინც ამ ამბოხების განხილვასაც გვერდს ავუხვევთ, რადგან საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება და განდგომის ამბავი ბურუსით არის მოცული. შეიძლება მხოლოდ საზოგადოდ აღვიაროთ, რომ გიორგი III დროს დიდებული აზნაურები ისე დაშინებული არ იყვნენ, როგორც დავით აღმაშენებლის დროს და უფრო თამამად იქცეოდნენ ხოლმე. მემატიანეს სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფე თავისდა უნებურად რამდენჯერმე იძულებული იყო აზნაურთა სურვილს დამორჩილებოდა; მაგალითად, როცა გიორგი მზად იყო ხორასნისა და ერაყის სულტანს, რომელმაც საქართველოს ერთი მხარე აიღო, დიდი ლაშქრით უკან დაედევნა, რომ წარმართა ტანტალი მოეშლევებინა, წინამძღომ დამხვედვლ ექმნეს დიდებულთაგანნი ვინმე... და არღარა მიუშვეს, მეტყველთა ესრეთ: ვინათგან გაქცეულა სულტანი უფოვილითა სპათა მისითა, ნურღარა აღზავებული მკადრებლობა ღვთისაგან ესრეთ ამაღლებული“, არამედ იყო მიზეზი იგი უმიზეზო, გარნა ვინათგან მეფე ცნობითა ბრძენი და მომსმენი იყო დამორჩილდა (ქარ. ცხ. 391). თუმცა დიდებულთა სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს ისინი წამდაუწუმ სისხლის ღვრის წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ და მეფისათვის სულტანის დადევნება იმიტომ დაეშალნათ, მაგრამ იგივე მემატიანე ერთ შემთხვევას გვიამბობს, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ დიდებულნი პირადად ომიანობის დიდი მოტრფიალენი ბრძანდებოდნენ. მემატიანე მოგვითხრობს სახელდობრ, რომ გიორგი მეფე იძულებული იყო ყველა მოსამზღვრე სახელმწიფოებთან ომი აეტეხნა, თუმცა მათ იმ დროს საქართველოსათვის არაფერი დაუშავებიათ,—ჩხუბი აუტეხეს იმიტომ, რომ დიდებულ აზნაურებს ლაშქრობის საღერღელი აეშალათ. ისტორიკოსი ამბობს: „დიდონი იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, მკადრებელთა მოახსენე ესრე სახედ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“. ხოლო ისმინა მეფემან... და ერთსა დღესა შინა დასკვნეს ჟამანი ლაშქრობისა (ქარ. ცხ. 393). მაშასადამე დიდებულნი ლაშქრობის წინააღმდეგნი არ ყოფილან საზოგადოთ, მაგრამ ჩანს როგორც უნდათ, ისე ატრიალებდნენ ხოლმე და მეფესაც თავიანთ ნებაზე ათამაშებდნენ; ხოლო ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, მეფობის დაუძლურებას მოასწავებს.

ივანე ჯავახიშვილი

(შემდეგი იქნება)

ასოთ-ამწყობის ძეგლი. ტომსკში მრავლის ხალხის თანდასწრებით ძეგლი აუგიათ ასოთ-ამწყობის ი. კონონოვისათვის, რომელიც ამ წლის იანვარში მოუკლავთ ტომსკის ქუჩაში. საფლავზე ბევრი საგრძნობელი სიტყვა წარმოუთქვამთ და მრავალი გვირგვინი დაუწყვიათ. წიგნების გამომცემელ საზოგადოების თხოვნით, არც ერთი ყაზახი და პოლიციის მოხელე არ დასწრებია ამ საზოგადო კრებას, რომელსაც ამიტომაც მშვიდობიანად ჩაუვლია. („ნ. ქ.“).

დაპატიმრება. მოსკოვში დაუჭერიათ სტამბის გამგე სოსკინი და „ზაპ. კრაი“-ს თანამშრომელი ოკუნი. ამათ გარდა, როგორც ამბობენ, ერთ წარჩინებულ კაცის მეუღლისთვისაც გადაუწყვეტიათ შინ დატუსაღება. („კ. ნოვ.“).

გლეხების დაჭერა. ელიზავეტგრადიდან დეპეშით აცნობებენ „პრ.“-ს, რომ 20 ივნისს იქაურ საპყრობილეში მიუყვანიათ მეორედ შეპყრობილი გლეხები, რომელნიც აგრარულ მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ.

რუსეთის ემიგრანტები საზღვარ-გარედ. ადესიდან მიღებულის ცნობით ამ ბოლო დროს შვეიცარიასა და ინგლისში ოცი ათასი ემიგრანტი გადასულა რუსეთიდან. გაქცეულთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. („რ. ვედ.“).

ინგლისის კაპიტალისტები, ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დროს უცდიან, რითი დაბოლოვდება რუსეთის შინაურ გარეული მდგომარეობა და იმ დრომდე ვერ გაუბედნიათ ხელი მოჰკიდონ რუსეთში რაიმე საქმეს, თუმცა ფული წინ დაწინვე ჰქონდათ გადადებული. („ნ. ქ.“).

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა უკმაყოფილება. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა სათანადო მთავრობას სთხოვეს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება. სამინისტრო შეწყალების ნაცვლად, დაემუქრა, თუ კიდევ გაგიბედნიათ მაგისთანა რამ, დაგითხოვთო. ამ ამბავმა დიდი მოძრაობა და უკმაყოფილება გამოიწვია მოხელეთა შორის. გავრცელდა მოწოდება და უსახელო წერილები. ურჩევდნენ გაფიცვას, ბევრგან საქმე საშინლად გამწვავდა და სამინისტრო იძულებული გახდა, ყურადღება მიექცია ამ საქმისთვის. სამინისტრომ გადასწყვიტა, მე-VI ხარისხის მოხელეებს მოუმატოს მხოლოდ ოთხი-ხუთი მანეთი („რაზსვ.“)

სიკვდილით დასჯა ვარშავის სამხედრო სასამართლოს ჩამოხრჩობა გადაუწყვეტია დ. კრაუზესთვის, რომელსაც ქუჩის დარაჯის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა ლოძში. („პრ.“).

მუშა ხალხის ყრილობა. 22 ივნისს მოსკოვის ერთ ალაგას, დანილოვის სლობოდის მახლობლად, თავი მოუყრია სტამბის 500 მუშას და დამატებითი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ. ყრილობა შუაღამის შემდეგ დაშლილა. 25 ივნისს მოსკოვს გარედ სოფ. შეპელიხში მოგროვილა 2000 მუშა, მაგრამ პოლიციას ხელი შეუშლია კრებისთვის და იარაღი წაურთმევია. 25 ივნისს სადგურ ვილნოდან 6 ვერსის მოშორებით, რკინის გზის ლიანდაგთან შეგროვილა 1000 ქალი და კაცი და მუშათა კომიტეტის მიერ აღძრულ საგულისხმიერო საკითხებზე ჰქონიათ ბაასი. („პრ.“)

წერილები

ზემო რაჭა. თუ სადმე ერთობა გაჩნდებოდა, ყველაზე უმალ ზემო რაჭას უნდა გაჩენილიყო: უწერას, გლოვლას, ჭიორას და ღებს, რადგან ამათზე უფრო დაჩაგრული სოფლები ძნელი წარმოსადგენია. ხსენებულ სოფლებში ყველანი სახაზინო გლეხები არიან და დიდის ხნის გადამტერებული „ლესნიჩ-აბეშჩიკები“ სულს ჰხდიან ყოველ დღიურ სხვა და სხვა გადასახადებით. ღები იხდის საბალახოს 1500 მ. იმავე საბალახოში იხდის თვითო ძროხაზე სამს შაურს, თხაზე—ხუთ შაურს, საქონლის მოსადგომად, თუ საბალახეში პატარა ქოხს ჩასდგამს, ოთხ აბაზს, და თუ საქონელი მწყემსს ტყეში შეეპარა, ხომ უკანასკნელი ჩოხაც უნდა გაიხადოს. შეშაც უჯდება თვითეულს უკანასკნელი თორმეტი მანეთი წელიწადში. ამ გადასახადს ემატება ის არა პირდაპირი გადასახადი, რომელსაც კანცელარია ახდევინებს. მარტო მთავრობის კაცის ხარჯად ღებს ხდება ორმოცი თუმანი. არა ნაკლები გადასახადებია დანარჩენ სოფლებში.

ქვემო რაჭიდან რომ ხმა შემოესმათ, აქაც გაბედეს მოეთხოვათ ზოგიერთ გადასახადის მოსპობა, მაგრამ ქვემო რაჭიდან გულდაწყვეტილმა პოლიციამ მალე აქ ამოჰყო თავი.

6 ივლისს წვიმებისაგან ნიაღვარი წამოვიდა. ადიდებულმა რიონმა ძალიან დააზარალა სოფელი უწერა, მოიტაცა სამი წისქვილი და რამდენიმე ყანავენახი. **დროებით ნაკიეთელი.**

არხეოლოგთა საყურადღებოდ

არქეოლოგთა უყურადღებობით ბევრი ძვირფასი ნაშთი საქართველოსი სამუდამოდ გვეცლება ხელიდან. გაიხსენეთ თუნდ საფარა უვიცმა ბერებმა კირით შეთუთხნეს და შეგლისეს თვალ-წარმტაცი მხატვრობა მონასტრისა, გათხუპნეს აგრეთვე ათაბაგთ სურათნი.

გუშინ-წინ მცირე ცნობა დაიბეჭდა გაზ. „კავ.“-ში ნება დართულ იქმნა პასკევიჩის დროს ჩვენ ქვეყანაში დაბინავებულ ს. ბურნაშეთს არზრუმელ სომეხთათვის ააგონ სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესია. აქნობამდის ბურნაშნელები სარგებლობდნენ ძველის-ძველ ქართულ ეკკლესიით და დღეს საშუალება მიეცათ აიშენონ თავიანთის საფასით და თავიანთ გემოზე ახალი საყდარი. კარგი და პიტიოსანი, ამას რა სჯობიან, ხოლო ძველი ეკკლესია პატრონს უნდა დაუბრუნდეს, ესე იგი ქართველ ერსა და სამღვდელოებას, თორემ ვინ იცის, ვაი თუ ახალის აშენების დროს ძველის თლილი ქვა მოიხმარონ. საჭიროა სამღვდელოებამ და არქეოლოგებმა თვალ-ყური დაიჭირონ, რადა ვნება-ზიანი არ მიაყენონ წმ. გიორგის ეკკლესიას ბურნაშეთში.

ბ. ბურნაშეთი შეფენილია თრიალეთის მთის კალთაზე, ჯავახეთში. ძველ ქართულ ეკკლესიიდან საამო სურათი გაეგშლება წინ. მთელის ჯავახეთის ველმინდორი თითქოს ხელის გულზე გაქვს გაშლილი აქედან რომ გადაჰყურებ არე-მარეს. ბურნაშეთიდან კარგად მოსჩანს დაზიანებული ბუმბერაზი კუმურდოს სიონი, სადაც ჟამთა ძლიერებისას კუმურდოელის ტახტი იდგა.

ბურნაშეთის ეკკლესიას ორი ხუცური წარწერა იქვს. ერთი ევედრება უფალს -ამის წმ. ეკკლესიის მაშენებელნი იხსენ ხელთაგან ჯოჯოხეთისათა; მეორე—ბურნაშნელ მღვდელთ უსაკუთრებს ყანას.

ეკკლესია თლილი ქვისაა. აღმოსავლეთით, სადაც წარწერაა, ქვის ყრმა და ორი ლომია გამოსახული.

იმედი გვაქვს, რომ ახალქალაქ-ახალციხის კეთილმოწესე, დეკანოზი დ. ხახუტაშვილი და ბურნაშეთის პატრონი ი. ი. ორბელიანი გაუფრთხილდებიან ძველთაგან დატოვებულ განძს და ბურნაშელ სომხებს ეკკლესიის ასაგებად შესაფერ ადგილს უჩვენებენ, ხოლო ძველს შემოზღუდავენ და მეცნიერებას შეუნახავენ შეუმწიკვლელად. **არქეოლოგი.**

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მკითხველთა საყურადღებოდ, რომ ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერმა მემამულეებმა თანხმობა ჩამოვაგდეთ გლეხებთან და მათი მოთხოვნები დავაკმაყოფილეთ. ეს მოთხოვნები შემდეგია: 1. მიეცეს გლეხებს სრულ საკუთრებად სანადელო მიწები; 2. მემამულეების მიწაზედ, რომელსაც გლეხნი შეიმუშავებს, მამულის პატრონს მიეცეს ღალათ მეათედი შემოსავლისა; 3. გლეხებს შეეძლოთ თავისუფლად სარგებლობა: ქვიშით, ქვითა და ნარიყით; 4. დაეთმოთ გლეხებს საქონლისათვის საპალახო უსასყიდლოთ; 5. უსასყიდლოდვე დაეთმოთ ტყიდან მასალა თავიანთ სახლის საჭიროებისათვის; 6. ზიზღი გამოვუცხადოთ თავად-აზნაურთა მილიციას (შავს რაზმს). როგორც სამარცხვინო და მავნე მოვლენას.

თავ. ილიკო ფავლენიშვილი, ნიკოლოზ (გვარი ვერ გავარჩიეთ) სიკო ფავლენიშვილი, მზარგძელ ფავლენიშვილი, ზაქარია წვიმეტიძე, დავით წვიმეტიძე,(რადგან მანწერა არ იცის, ხელს ვაწერ ჩიტო კაპანაძე, რევ. წვიმეტიძე, (რადგან მან წერა არ იცოდა, ხელს ვაწერ დავით ელიოზიშვილი, ძმები არჩილ წვიმეტიძე. ვასო წვიმეტიძე, თავ. ზაქარია ფავლენიშვილი, ილიკო ტატიშვილი, ივანე ნამორაძე, დიმიტრი ნამორაძე, სანდრო ნამორაძე.

II

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით აცნობოთ საზოგადოებას და ბ-ნ თაქთაქიშვილებს, რომ მე სავსებით ვერ დავეთანხმები გლეხ-კაცობასთან მორიგებას იმ პირობებით. რომლებსაც თაქთაქიშვილები აცხადებენ გაზეთ „ივერიის“ № 106. ღალის მეათედათ გათავებაზე მარტო ამ წელს ვარ თმნახმა. მომავალში-კი, რათა თავიდან ავიცილოთ ყოველივე უსიამოვნობა და შფოთი მემამულესა და გლეხ-კაცს შორის, უსათუოდ ის მიწები, რომლებიც მემამულეებს არ შეუძლიანთ თითონ დაიმუშავონ, გლეხ-კაცობას საკუთრებად უნდა გადაეცეს. მიწების განაწილება საზოგადოების საქმე იქნება. ურიგო არ იქნება, რასაკვირველია, რომ მემამულენი ცოტად თუ მეტად ფულით იყვნენ დაკმაყოფილებულნი ხაზინისაგან რაც შეეხება გადასახადების განაწილებას გლეხთა და მემამულეთა შორის, რომელსაც ბ-ნნი თაქთაქიშვილები აცხადებენ, მეც სიამოვნებით ვკისრულობ და ჩემის მხრივ წინადადებას ვაძლევ ჩემს სახლი-კაცებს, ვიკისროთ გადასახადები და ხარჯები აგრეთვე იმ შემთხვევაშიც თუ მთავრობამ რაიმე მიზეზით სოფელს ყაზახები ჩაუყენა ან სხვაფრივ დაარბია.

ამასთან მეც, როგორც ჩემი სახლი კაცები, ვაცხადებ, რომ თავად-აზნაურთა მილიციაში არ ვირიცხები და არცა ვფიქრობ, რადგან არც ერთ ახლად დაარსებულ ორგანიზაციაში, რომელიც განცალკევებით თავად-აზნაურთაგან შესდგება და წოდებრივი ხასიათი ექნება (როგორი პროგრამაც უნდა ჰქონდეთ), არავითარ მონაწილეობას არ მივიღებ. **გიორგი თაქთაქიშვილი**

III

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ამ წერილს „ცნობის ფურცელ“-ში.

ჩვენ, სოფ. სავანლის-უბანში (ზემო ქართლი) მცხოვრებმა გლეხობამ მოვახდინეთ ყრილობა და დავდეთ ერთმანეთში პირობა, რომ დღეიდან მოვსპოთ ყრუ დროიდან მიღებული ჩვეულება და აღარ გადავიხადოთ 20 ივლისს დღეობა „ელიობა“ რომელსაც უზომო ხარჯთან ერთად ხშირად დიდი უსიამოვნებაც მოსდევდა.

ამით ვაცნობებთ ნათესავებსა და ნაცნობებს, ნუღარ გვეწვევიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყრილობის დადგენილებით, როგორც ხარჯის გადამხდელ მასპინძელს, ისე სტუმარსაც ჯარიმად გადახდება სოფლის სასარგებლოდ 25 მანეთი.

ყრილობის მონდობილობით: **ვასო ელისაშვილი, სინო რევაზიშვილი, პეპო ორთოიძე, გიორგი ორთოიძე, სოსო ციცელაშვილი, კოტე მარგელაშვილი.**

P. S. ვთხოვთ სხვა ქართულ რედაქციებს, გადაბეჭდონ ეს წერილი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

13 ივლისი.

გოძიადანი. ნიკოლაევსკში, 11 თებერვალს, დიდ ზარბაზნების სროლა მოისმოდა სახალინის მხრიდან.

ოისტერბეი, 13 ივლისი. (ვაშინგტონის ახლო). იაპონიის ელჩმა ტაკახირამ ინახულა რუზველტი, რომელსაც ემუსაიფა მომავალ ზავზე. იუწყებიან, რომ რუზველტი მიიღებს ბარონ კომურას ოფიციალურ აუდიენციაზე 15 ივლისსო.

სიტიაზი. ჩინელები იუწყებიან, რომ ახლა იაპონელები ვერ ბედავენ გალაშქრებას, რადგანაც იმედი არ აქვთო რაზმების მოქმედება ძლიერდება. 11 ივლისს იაპონელების რაზმები გაჩნდნენ რამდენიმე ადგილას ჩვენის ბანაკის ახლოს. მანდარინის გზის მიდამოებში იაპონიის რაზმს ძლიერი სროლა აუტეხეს სოფ. ლანსუნჩენცზისთან 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი შეეცადა გაჭრილიყო სოფლის ჩრდილოეთით, მაგრამ უკან დაიხია ჩვენის მსროლელების წინაშე. მარცხენა ფრთაზე, უმეტესად, ხუნხუზები მოქმედებენ. სოფ. იანცზიტიანთან ჩვენს მოხალისეებს შეტაკება ჰქონდათ 250 კაცისაგან შემდგარ რაზმთან, რომელმაც უკან დაიხია, დასტოვა რა 10 მოკლული.

ტოკიო. ოსაკაში ცნობა მოვიდა, იაპონელების არმია, რამდენიმე ათას კაცისაგან შემდგარს, იერიში მიაქვს რუსების პოზიციებზე მდ. ტუმენთანი.

ნიუ ჩუანი. მიშჩენკო განუწყვეტლივ აწუხებს მარცხენა ფრთას. 8 ივლისს საყურადღებო ბრძოლა მოხდა 25 მილის მანძილზე ფაკუმინის ჩრდილოეთით.

ნიუ-იორკი. კომუნას მდივანმა სატომ აუწყა ჟურნალისტს. იაპონიამ სამხედრო ხარჯი რუსეთისაგან აღებულ კონტრიბუციით უნდა დაფაროს. სახალინი იაპონიას უნდა დარჩეს. ფილიპინების შესახებ სატომ განაცხადა, რომ იაპონია მაშინაც-კი იტყოდა მათზე უარს, საჩუქრად რომ მიეცა შეერთებულ შტატებს, ვინაიდან იაპონია და შეერთებული შტატები მოკავშირენი არიან ყოველს ხელშეკრულობის გარეშე.

გოძიადანი. იაპონიის გაზეთების სიტყვით საჭიროა, სახალინს გარდა. უსურიის მხრის შემოერთება რკინის გზამდე, იარაღი უნდა აეყაროს და ღიად გამოცხადდეს ნიკოლაევსკი და ვლადივასტოკი და თავისუფალი უნდა გახდეს უცხოეთის სავაჭრო გემებისთვის ამური.

მოსკოვი. აგვისტოს გასულს ან სექტემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვში გაიმართება ქალაქების წარმომადგენლების სიეზიდი, რათა საბოლოოდ შეიმუშაონ პროექტი ახალ საქალაქო დებულებისა.

სემიპალატინსკი. ადგილობრივი „ლისტოკ“-ი იუწყება, რომ 10 ივლისს იქ მიწის ძვრა იყო.

ელისავეტგრადი. საერობო გამგეობის თავმჯდომარის ინიციატივით აგვისტოში უნდა მოხდეს სიეზდი მიწად-მფლობელთა, რათა განიხილონ საკითხები გლეხების მომავალ მოძრაობის თავიდან ასაშორებლად და საზოგადოთ სოფლებში მშრომელ ხალხთა მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლად.

ნეჟინი. გუშინდელმა ქექა-ქუხილმა დიდი ზარალი მოიტანა· ხალხიც დაიღუპა.

შერბურგი, 13 ივლისი. ვიტტე მოვიდა დღის 4 ს. 8 ს. გემ „კაიზერ. ვილჰელმ„-ზე დაჯდება.

პეტერბურგი. 24 ივნისს ტამბოვის გუბერნიაში ორი ავადმყოფი იყო მენინგიტით.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 ივლისი.

პარიზი, 14 ივლისი. დილით წავიდა ვიტტე და მატარებლის წასვლის წინ დიდ ხანს ემუსაიფა ნელიდოვსა და კასსინის და მიანდო მათ მადლობის გადახდა საფრანგეთის მოხელეებისათვის კარგის დახვედრისთვის. რადოლანი დაესწრო გარეშე საქმეთა სამინისტროში მიღების დროს და მთელს საათს ელაპარაკა რუვიეს. ოფიციალური წრეები სდუმან.—მეფე ალფონსი დილით ჩასცდა საფრანგეთის საზღვარს.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა ზოგიერთი ცვლილებანი 1904 წ. 7 ივნისის კანონში შესატანად შესახებ სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა.

პარიზი. დეშანელმა, საგარეო საქმეების საპარლამენტო კომისიის პრეზიდენტმა, შემდეგის წერილით მიმართა: რუვიეს აღიჭურვოს ინდოეთ ჩინეთის გუბერნატორი მინდობილობით ტერიტორიალურისა და კოლონიის საზღვაო დაცვის შესახებ, მიენდოს გენერალ ვლარენს თვალყურის გდება მკვიდრთა ჯარებზე, მიეცეს საიგონში არსენალის გასამართავად საჭირო კრედიტი, რემონტი გაუკეთდეს და მოეწყოს საფრანგეთის მთავარ ესკადრის სადგომი ადგილი, შეუთანხმდეს საფრანგეთის ინტერესები ჩინეთსა და შორეულ-აღმოსავლეთში ინგლისისას, გაიმართოს პირდაპირი სავაჭრო განწყობილება ინდოეთ-ჩინეთსა და იაპონიას შორის, უფრო მჭიდრო განწყობილება დაიჭიროს იაპონიასთან, შეთანხმება მოხდეს ინგლისთან და დარწმუნებულ იქნას სიამი, ხელი აიღოს შეიარაღებაზე და სიმაგრეები გაიმართოს დარკომასა და დიეგოო სუარეცშოი.

პეტერბურგის ბირჟა 12 ივლისი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	377½
ბირჟის დისკონტი	5½ 6%
4% სახელმწიფო რენტა	85⅛
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1905 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	80⅝
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	407
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	306¼
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	269¼
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	202

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.);. 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში, ოფ ასუ ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, -სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ· გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—10)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქროევისა. (30—14)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ОТКРЫТА ПРЕДВАРИТЕЛЬНАЯ ПОДПИСКА „ЗАПИСЬЮ“
на 1905 годъ
на ежедневную, политическую, общественно-литературную газету
„КАВКАЗСКІЙ КРАЙ“

съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ съ каррикатурами приложеніемъ и мѣсячнымъ журналомъ подъ названіемъ „Кавказовѣдѣніе“. Ежемѣсячный журналъ будетъ высылаться безплатно только годовымъ подписчикамъ. Первый № ежемѣсячника выйдетъ въ іюлѣ.

Въ непродолжительномъ времени газета будетъ выходить ежедневной, по расширенной программѣ съ политическимъ отдѣломъ. Ожидаются отъ авторовъ, изъявившихъ согласіе на сотрудничество, рукописи и матеріалы. Приглашаются корреспонденты изъ разныхъ городовъ края, а также представители и коммерческіе агенты по сбору объявленій.

Плата за объявленія. Строчки петита: впереди текста—10 коп.; позади текста—5 коп. Многократныя объявленія печатаются со значительной скидкой. Лицамъ, ищущимъ труда—скидка 50%.

Условія подписки. Съ доставкой: на годъ—7 р.; на 6 мѣс.—4 р.; на 3 мѣс.—2 р. на 1 мѣс.—1 р. Безъ доставки на годъ—6 р. Заграницу—14 р. Допускается широкая разсрочка.

Редакція газеты „Кавказскій Край“ въ виду обоюднаго удобства, какъ для себя, чтобы выяснить будущее число подписчиковъ, такъ и для гг. читателей, чтобы дать возможность безъ замедленія получать газету, а также представить имъ въ уплатѣ денегъ отсрочкой до 25-го сентября, покорнѣйше проситъ читателей, въ случаѣ желанія быть подписчикомъ нашей газеты, подписать и возвратить въ редакцію настоящій отрѣзной бланкъ „Предварительной записи“, послѣ чего высылка газеты начнется немедленно и этимъ сбережется время какъ у подписчиковъ, такъ и у редакціи.

Редакція и контора: Тифлисъ, Кочубеевская, д. Эсадзе.

(Ђ. 6—6). Редакторъ-издатель Б. С. Эсадзе.

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-ველბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—19)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაზი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
დვინის დაცემა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერის.	—	20
ხუნთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ეგანგულოვისა	1	—

Доз. цен. Тифлисъ 14 Іюль 1905 г. печ. груз. изд. т-ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ-სა